# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 მარტი 2006 №68 (2690) ფასი 50 თეთრი


# საფრანგეთი ფარერებზე გამოგვყვა

## საქართველოს — კი ბატონო, უკრაინას — ჩაციებული უარი

### 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი. კალენდარი

**მეცამეტე ტურის გადმოტანილი მატჩი**

16 აგვისტო, 2006 წელი
ფარერები — საქართველო

**პირველი ტური**

2-3 სექტემბერი, 2006 წელი
საქართველო — საფრანგეთი
იტალია — ლიტვა
შოტლანდია — ფარერები

**მეორე ტური**

5-6 სექტემბერი, 2006 წელი
უკრაინა — საქართველო
ლიტვა — შოტლანდია
საფრანგეთი — იტალია

**მესამე ტური**

7-8 ოქტომბერი, 2006 წელი
იტალია — უკრაინა
შოტლანდია — საფრანგეთი
ფარერები — ლიტვა

**მეოთხე ტური**

10-11 ოქტომბერი, 2006 წელი
უკრაინა — შოტლანდია
საქართველო — იტალია
საფრანგეთი — ფარერები

**მეხუთე ტური**

24-25 მარტი, 2007 წელი
შოტლანდია — საქართველო
ლიტვა — საფრანგეთი
ფარერები — უკრაინა

**მეექვსე ტური**

27-28 მარტი, 2007 წელი
უკრაინა — ლიტვა
საქართველო — ფარერები
იტალია — შოტლანდია

**მეშვიდე ტური**

2-3 ივნისი, 2007 წელი
საფრანგეთი — უკრაინა
ლიტვა — საქართველო
ფარერები — იტალია

**მერვე ტური**

5-6 ივნისი, 2007 წელი
საფრანგეთი — საქართველო
ლიტვა — იტალია
ფარერები — შოტლანდია

**მეცხრე ტური**

8-9 სექტემბერი, 2007 წელი
საქართველო — უკრაინა
შოტლანდია — ლიტვა
იტალია — საფრანგეთი

**მეათე ტური**

11-12 სექტემბერი, 2007 წელი
უკრაინა — იტალია
საფრანგეთი — შოტლანდია
ლიტვა — ფარერები

**მეთერთმეტე ტური**

13-14 ოქტომბერი, 2007 წელი
შოტლანდია — უკრაინა
იტალია — საქართველო
ფარერები — საფრანგეთი

**მეთორმეტე ტური**

16-17 ოქტომბერი, 2007 წელი
უკრაინა — ფარერები
საქართველო — შოტლანდია
საფრანგეთი — ლიტვა

**მეცამეტე ტური**

17-18 ნოემბერი, 2007 წელი
ლიტვა — უკრაინა
შოტლანდია — იტალია

**მეთოთხმეტე ტური**

20-21 ნოემბერი, 2007 წელი
უკრაინა — საფრანგეთი
საქართველო — ლიტვა
იტალია — ფარერები




# ვნახოთ, ვნახოთ... იტალიური ოპერა შაქარყინულით


ილია ავერბუხი

მაისს თბილისში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი. ყინულიდან გადამდგარი გენერალი, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე მედლებნახვეჭი რუსი ფიგურულად მოსრიალე ილია ავერბუხი საქართველოში დიდვარსკვლავთა ჩამოყვანას და სპორტის სასახლეში თვალისმომჭრელი სანახაობის დადგმას გვპირდება. მონაწილენიც ისეთები ჩამოთვალა, მათ სანახავად კაცს ჯიბეზე ხელის გაკვრა არ დაგენანება. შოუს „იტალიური კარნავალი“ ერქმევა და მის მოსაწყობ-გასარეკლამებლად ავერბუხი თბილისს სამი პიარ-მენეჯერის თანხლებით ეწვია.


ტატიანა ნავკა

# მე რომ დომენეკი ვიყო...

## კლაუს ტოპმიოლერს განწყობა შეეცვალა

ერთ-ერთ ინტერვიუში კლაუს ტოპმიოლერმა გვითხრა, მედიასთან ურთიერთობა ჩემი სამუშაოს შემადგენელი, თანაც სასიამოვნო ნაწილიაო. საქართველოს ნაკრების გერმანელი მთავარი მწვრთნელის კეთილგანწყობითა და საქმისადმი პროფესიული მიდგომით კიდევ ერთხელ ვისარგებლეთ „ბოროტად“ და ალბანეთთან მატჩის თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი ერთი კონკრეტული შეხვედრის ჩარჩოებში ვერც ამჯერად ჩაეტია...



გურამ [illegible] ფოტო

— ალბანელებთან მატჩის შემდეგ თქვენი განწყობა უკეთესობისკენ შეიცვალა თუ...

— განწყობა ცოტა გამომიკეთდა. მართალია, მთლად სახარბიელოდ ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ჩემთვის ეს მატჩი ძალიან საინტერესო და სასარგებლო იყო.

— თუ აღმოაჩინეთ ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს ნაკრებს გამოადგებიან?

— ყველა კარგი იყო, თავი არავის დაუზოგავს. ძალიან მომეწონა შაშიაშვილი, ელიავა, ჯაკობია... თითქმის ყველა ფეხბურთელზე, რომელმაც ტირანაში ითამაშა, დაკვირვებას გავაგრძელებთ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ისინი ეროვნულ ნაკრებში თამაშს შეძლებენ.

— სადღეისოდ რომელი პოზიციებია საქართველოს ნაკრებში ყველაზე პრობლემური და პირიქით — ყველაზე ძლიერი?

— ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, რადგან საბოლოოდ არ შეგვიმუშავებია ტაქტიკა, რომლითაც საქართველოს ნაკრები ითამაშებს. ეს ორი მომენტი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ტაქტიკა ჩვენს ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით უნდა ავაგოთ. იმედი მაქვს, იმ დროისთვის, როცა ტაქტიკას შევიმუშავებთ, საქართველოს ნაკრებში სუსტი პოზიცია აღარ იარსებებს.

— ჩვენი ინფორმაციით, „ფიურტ“ — აუე-ს მატჩს დაესწარით. რა აზრის ხართ დავით სირაძეზე, გამოადგება თუ არა იგი ნაკრებს?

— ამ მატჩს დავესწარი და სირაძემ ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შეხვედრის წინ აუე-ს მთავარ მწვრთნელს ვესაუბრე და მანაც დადებითად დამიხასიათა. ასე რომ, სირაძეზე დაკვირვებას აუცილებლად გავაგრძელებთ.

— კიდევ რომელი ქართველი ლეგიონერის მატჩზე აპირებთ დასწრებას და თბილისში როდის ჩამოდიხართ?

— სურვილი მქონდა, წინა უიქენდზე უკრაინის ჩემპიონატის შეხვედრებს დავსწრებოდი, მაგრამ დროის დეფიციტის გამო ვერ შევძელი. მომავალ შაბათ-კვირას მინდა, რამდენიმე შეხვედრას კიდევ დავესწრო, უკვე ორშაბათს კი თბილისში ვიქნები.

— გერმანია — აშშ-ის ამხანაგურ შეხვედრას ჰანს-პეტერ ბრიგელთან ერთად ადევნეთ თვალი. საინტერესოა, როგორ შეაფასა მან საქართველოს ნაკრები?

— ბრიგელი კარგად იცნობს საქართველოს ნაკრებს. მითხრა, რომ ძალიან ბევრი მაქვს გასაკეთებელი, თუმცა ბოლო შეხვედრაში ქართველებმა მასზე მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— როგორ მოგეწონათ გერმანიის ნაკრები და რა იქნება მისი პროგრამა-მაქსიმუმი მსოფლიოს ჩემპიონატზე?

— მაქსიმუმზე საუბარი ჯერ ნაადრევია. რამდენიმე წარუმატებლობის მიუხედავად, რამაც გერმანიაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია, ვთვლი, რომ კლინსმანის გუნდი კარგ ფორმაშია.

— დღეს ფრანგებისგან პასუხი უნდა მიგეღოთ შესარჩევი ციკლის კალენდარში ცვლილებებთან დაკავშირებით...

— ჯერჯერობით საბოლოო პასუხი ჩემთვის უცნობია, თუმცა როდესაც ამ საკითხზე წინასწარი კონსულტაციები მიმდინარეობდა, ფრანგებიც და იტალიელებიც თანახმანი იყვნენ.

— ბევრის აზრით, ფარერებთან შეხვედრით შესარჩევი ციკლის დაწყება ქართველებს გარკვეულ ფორას აძლევს. თქვენ რომ რაიმონ დომენეკის ადგილზე იყოთ, ასეთ ცვლილებას თუ მისცემდით დასტურს?

— როდესაც კლაუს ტოპმიოლერი ხარ და არა რაიმონ დომენეკი, ძნელია ამაზე საუბარი, თუმცა ალბათ მაინც დავთანხმდებოდი.

**ნინო სილაგაძე**
**გიორგი ნოზაძე**

ვინც ქარს დასთესს, ქარიშხალს მოიმკისო — დაახლოებით ასე დაემართა უკრაინის ნაკრებს. თანაც, ეს ქარიშხალი რაიმე აბსტრაქტული ცნების კი არა, მართლაც მძიმე კლიმატური პირობების სახით შეიძლება დაუხვდეს 2007 წლის მარტში ფარერებზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრის გასამართად ჩასულ უკრაინას. შესავალმა რომ არ დაგაბნიოთ, მოკლედ შეგახსენებთ წინაისტორიას...

# გადაწყდა: ევროპას კუნძულიდან შევუტევთ

## უკრაინამ ფარერული ქარიშხალი მოიმკა

ჩვენი, ანუ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე შეთანხმება პარიზში შეკრებილმა შვიდმა დელეგაციამ უკრაინელთა მიზეზით ვერ შეძლო. მათ შემუშავებულ ვარიანტს ვეტო დაადეს და გარკვეული მოთხოვნები წამოაყენეს. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და კალენდარი კენჭისყრით უეფამ შეადგინა. წინასწარვე დაითქვა, რომ ადრიან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე ფარერის კუნძულებზე მძიმე კლიმატური პირობების გამო, შესაძლებელი იქნებოდა კალენდარში გარკვეული კორექტივების შეტანა.

კუნძულზე სტუმრობის პატივი უკრაინას 2007 წლის მარტში, საქართველოს კი 2007 წლის ნოემბერში ერგო. ფარერელები წინააღმდეგნი არ ყოფილან და კალენდარში ცვლილება შევიდა: უკრაინელები მომავალი წლის აგვისტოში უნდა სწვეოდნენ ფარერებს, ქართველები კი სულაც შესარჩევი ციკლის სასტარტო შეხვედრაში, მიმდინარე წლის 16 აგვისტოს გეგმავენ იქ ჩასვლას. ცვლილებების დაკანონებას მხოლოდ დანარჩენ თანაჯგუფელთა დასტური აკლდა...

უეფა თავის მხრივ არ წასულა კალენდარში ამ ცვლილებების წინააღმდეგი და სხვებსაც პოზიციის დასაფიქსირებლად ბოლო ვადა, 24 მარტი დაუთქვა. როცა პარასკევს ფრანგებისგან პასუხი არ გამოჩნდა, ვივარაუდეთ, რომ რაიმონ დომენეკმა პოზიცია შეიცვალა და აღარ აპირებდა დასტურის მოცემას. ძაღლის თავი კი სხვაგან აღმოჩნდა დამარხული და ამ ყველაფერს ფარდა გუშინ აეხადა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფრანგებისგან და იტალიელებისგან ფაქსით მიიღო დასტური, შესარჩევი ციკლი 16 აგვისტოს ფარერებზე სტუმრობით დაიწყოს. სხვა ყველა მეტოქისგან თანხმობა კი წინასწარვე ასევე წერილობით გვქონდა დაბევებული. იმავე ფაქსებში ნათქვამია, რომ ფრანგები და იტალიელები არ არიან თანახმანი, უკრაინა ფარერებს 2007 წლის მარტის ნაცვლად იმავე წლის აგვისტოში ესტუმროს: ნოემბერი ფარერებზე მართლაც მძიმეა და ქართველებს დასტურს ამიტომაც ვაძლევთ, მარტში კი იქ ჩინებული ამინდებია, უკრაინამ ნება იბოძოს და კენჭისყრით მიღებულ კალენდარს დაემორჩილოსო.

მოკლედ, დროის გაყვანა ერთადერთ მიზანს ისახავდა, რომ უკრაინელებს პროტესტისთვის ან კალენდარზე ვეტოს დასადებად დრო აღარ დარჩენოდათ. რა თქმა უნდა, გრიგორი სურკისი და ოლეგ ბლოხინი ხმაურს მაინც ატეხენ, მაგრამ პრაქტიკულად გამორიცხულია, ამან შედეგი გამოიღოს. არადა, უკრაინაში ჩემპიონატის მეორე წრე მარტში იწყება, ეროვნული ნაკრები ძირითადად ადგილობრივ კლუბებში მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ბლოხინის პრობლემაც თვალსაჩინოა.

ოლეგ ივანიჩი საკუთარ თავს როგორმე მიხედავს, ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ ორი თვის განმავლობაში გაწელილ პროცედურებს წერტილი დაესვა: საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პირველ შეხვედრას 2006 წლის 16 აგვისტოს ფარერებზე გამართავს.

**გიორგი ნოზაძე**

**საქართველოს 17 ჩემპიონატი**
**პირველი ლიგა**
**მეორე წრე**

**XXIV ტური**

27 მარტი

ორშაბათი

| | | |
|---|---|---|
| მეშაქრე | 1:0 | ამერი 2 |
| მესხეთი | 1:0 | გურია |
| დინამო 2 | 3:1 | ვიტ ჯორჯია 2 |
| ზუგდიდი | 0:0 | გაგრა |
| საგარეჯო | 0:1 | თბილისი 2 |
| მეშახტე | 0:1 | მაღაროელი |
| ჩიხურა | 7:1 | იმედი |
| ზესტაფონი 2 | 1:0 | რუსთავი |
| ლიახვი | 0:1 | მერანი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 24 | 19 | 3 | 2 | 72:23 | 60 |
| მერანი | 24 | 17 | 3 | 4 | 39:16 | 54 |
| გაგრა | 24 | 14 | 7 | 3 | 35:15 | 49 |
| დინამო 2 | 24 | 13 | 5 | 6 | 39:17 | 44 |
| ამერი 2 | 24 | 12 | 5 | 7 | 31:18 | 41 |
| რუსთავი | 24 | 10 | 7 | 7 | 35:25 | 37 |
| მეშაქრე | 24 | 11 | 3 | 10 | 33:26 | 36 |
| მესხეთი | 24 | 10 | 6 | 8 | 33:25 | 36 |
| გურია | 24 | 10 | 4 | 10 | 34:29 | 34 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 24 | 8 | 5 | 11 | 22:27 | 29 |
| მეშახტე | 24 | 7 | 8 | 9 | 22:22 | 29 |
| ზესტაფონი 2 | 24 | 8 | 3 | 13 | 20:37 | 27 |
| ზუგდიდი | 24 | 7 | 6 | 11 | 13:22 | 27 |
| თბილისი 2 | 24 | 7 | 6 | 11 | 22:33 | 27 |
| საგარეჯო | 24 | 7 | 4 | 13 | 24:33 | 25 |
| მაღაროელი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:45 | 25 |
| იმედი | 24 | 5 | 1 | 18 | 15:56 | 16 |
| ლიახვი | 24 | 4 | 0 | 20 | 18:62 | 12 |

### იტალია

სერია B. XXXIV ტური

**პიაჩენცა 2:1 კრემონეზე**

სერია C1/B. XXVIII ტური

**იუვე სტაბია 2:2 გროსეტო**

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXI ტური

**ტოტენჰემი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXII ტური

**ბოლესლავი 4:1 სლავია**

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი
გადადებული მატჩი

**ლონგფორდი 0:0 სლიგო**

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVII ტური

**ფრაიბურგი 0:0 ბოხუმი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური

**ლეირია 0:0 ბოავიშტა**

### საბერძნეთი

ეროვნული ლიგა
XXV ტური

**ოლიმპიაკოსი 3:0 ატრომიტოსი**

### რუსეთი

პრემიერლიგა. II ტური

**კრილია 0:0 რუბინი**

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXI ტური

**მონპელიე 2:0 დიჟონი**

# თბილისის ორს პლუს ოთხი

## ტყებუჩავას ტრანს-ფერები: ბურნაძიდან ქოქოშვილამდე



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გოჩა ტყებუჩავა



გოჩა ქოქოშვილი

**უმაღლესი** ლიგის ბოლოადგილოსანი „თბილისი“ ახლალა ფხიზლდება და ცდილობს, გამოუცდელი ჯეელები გამოცდილი ფეხბურთელებით ჩაანაცვლოს.

„თბილისს“ გუშინდლიდან ახალი მწვრთნელი, გოჩა ტყებუჩავა ავარჯიშებს და გუნდში უკვე ჩაირიცხა ორი ახალი ფეხბურთელი: 31 წლის ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი და 21 წლის ნახევარმცველი მიხეილ ბესარაშვილი, ვინც მანამდე „ზესტაფონში“ თამაშობდა.

თბილისელები 21 წლის გამთამაშებელ გოჩა ხოჯავას დაბრუნებას რომ აპირებენ, ადრეც გაუწყეთ — ამ საქმეში ახალი არაფერია, მიმდინარეობს მოლაპარაკება „როსტოვთან“ — ხოჯავა ჯერაც ამ რუსული კლუბის საკუთრებაა.

„თბილისს“ სურს, დაიმატოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი თეიმურაზ ბურნაძე, ვინც რამდენიმე თვე უგუნდოდ იყო, მაგრამ მისი „თბილისში“ ჩარიცხვა ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

ისრაელში თამაშის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა გოჩა ქოქოშვილი — მისი გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ ჩამოსულა და „თბილისს“ ვერც ის შეჰყავს განაცხადში.

ტყებუჩავას გუნდში ვარჯიშობს 27 წლის არჩილ სახვაძეც, ვინც შვედეთში აპირებს წასვლას, მაგრამ შესაძლოა, სეზონის ბოლომდე „თბილისში“ დარჩეს.

ერთი სიტყვით, „თბილისის“ ახალმა მწვრთნელმა ჯერ ზუსტად არ იცის, ფეხბურთელთა რა კონტინგენტით იბრძოლებს არგავარდნისთვის.

**დავით თაგართქილაძე**

# ასათიანი მკლავს შლის




მალხაზ ასათიანი ზედ რუსული პრემიერლიგის დაწყების წინ მძიმედ დაშავდა და როგორ დააკლდა მოსკოვის „ლოკომოტივს“, ეს გუნდის შედეგებიდანაც კარგად ჩანს. რკინიგზელთა დაცვა ასეთი უძლური კარგა ხანია, არავის უნახიაო, არაერთხელ დაიწერა რუსულ პრესაში.

ასათიანი აქამდე ხელს ვერ ამოძრავებდა, თუმცა ამ კვირის ბოლოს მას სპეციალური ვარჯიშების ჩატარება შეეძლება.

„მალხაზის გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. საერთოდ ასეთი სახის ტრავმის მოშუშებას ორი თვე მაინც სჭირდება“ — თქვა „ლოკომოტივის“ ექიმმა ალექსანდრე იარდოშვილმა.

**ლუკა თალაკვაძე**

# აჭარამ ფოთიც დაიჭირა, დინამო შინ დაბრუნდა

**დღეს**, 15 საათზე, პროფლიგის ოფისში დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალის კენჭისყრა გაიმართება. „სიონი“, „ზესტაფონი“, „ამერი“, „ვიტ ჯორჯია“ — ვნახოთ, ვის ვინ შეხვდება.

ამასობაში, პროფლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანმა გვაცნობა, რომ 29 მარტს „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. საქმე ისაა, რომ დინამოელებმა ბოლო მატჩები „მიხეილ მესხზე“ ითამაშეს, მაგრამ გუნდს სურს, საშინაო შეხვედრაში მართლაც შინ იგრძნოს თავი და ეს ბუნებრივიცაა. „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ტელეკომპანია „იმედი“ პირდაპირი ეთერით გადასცემს, ისევე როგორც „აჭარა“ მოაწყობს „ბათუმ“ — „დილას“ ტრანსლირებას.

სხვათა შორის, „აჭარა“ 5 აპრილის „კოლხეთ“ — „ბათუმსაც“ აჩვენებს, რაც პირველი შემთხვევაა — ფოთიდან საჩემპიონატო მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი აქამდე არასოდეს გადაცემულა.

და კიდევ: აპრილში მატჩები 16 საათზე დაიწყება.

**ილია ნანობაშვილი**



# კალაძე თავისუფალია

**თბილისის** „დინამოს“ მცველმა ანზორ კალაძემ კლუბიდან გათავისუფლების ფურცელი მოითხოვა და მიიღო კიდეც. საქართველოს ჩემპიონებს საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ, ყველა რგოლში მძაფრი კონკურენციაა, ანზორ კალაძეს კი არ აკმაყოფილებდა მხოლოდ „დინამო 2“-ში თამაში. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას კალაძე, რომელსაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, რამდენიმე ქართული და რუსული კლუბის მაისურა მოურგია.




# მთავარი ჰარმონიაა

## ძოძუაშვილმა კოლხეთთან საძირკველი ჩაყარა

*ბოლო ერთი კვირაა, ქუთაისის „ტორპედოში“ ლამის ყოველდღე მიდი-მოდიან ფეხბურთელები. დავით გამეზარდაშვილი, სერგო ჭურაძე, კონსტანტინე დარსანია, ლევან კორლალიძე, გიორგი ყიფიანი, დიმიტრი პარამონოვი, დავით ჩილვინაძე — ამ ახალწვეულებმა შაბათს ფოთის „კოლხეთთან“ ითამაშეს.*

*ფაქტია, ქუთაისში ძლიერი გუნდის შექმნაზე ფიქრობენ და ამის მოთავედ, ცხადია, „ტორპედოს“ მწვრთნელ-კონსულტანტი რევაზ ძოძუაშვილი ითვლება, რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ...*

— ის სიტუაცია, რაც ჩემი ჩამოსვლისას „ტორპედოში“ იყო, ნორმაში არ ჯდებოდა. გუნდს გუნდისა არაფერი ეტყობოდა, იმ შემადგენლობით რაიმეს მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო.

**— მაგრამ, ფაქტია, ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებულმა „ტორპედომ“ „კოლხეთს“ ვერ მოუგო...**

— „კოლხეთთან“ იყო პირველი მატჩი, საიდანაც გუნდის საძირკველი უნდა ჩავყაროთ. წლეულს როგორმე უნდა შევინარჩუნოთ უმაღლეს ლიგაში ადგილი, მომავალი სეზონიდან კი ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. გუნდში მყოფ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილები ამოვუყენეთ გვერდში, ეს ჰარმონია აუცილებელია ნებისმიერი კლუბისთვის.

**— თუმცა რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის ლევან კორლალიძეც, „ტორპედოში“ სეზონის ბოლომდე დარჩება. გამოდის, მერე ისევ ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგიწევთ?**

— ჩვენ გვაკავშირებს ერთგვარი „სამკუთხედი“ ვორონეჟის „ფაკელთან“ და რიგის „სკონტოსთან“, ერთმანეთთან ჰარმონიულად ვმუშაობთ. აი, გამეზარდაშვილი ვორონეჟში იყო, მაგრამ ვთხოვეთ ჩამოსვლა და ისიც მშობლიურ ქალაქს გაჭირვების დროს გვერდში დაუდგა. შემადგენლობას ზაფხულში გავაძლიერებთ. კლუბის სპონსორებსა და ჩვენს შორის პროფესიონალური მიდგომაა, ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. ასე რომ, მარტო რევაზ ძოძუაშვილი არაა „ტორპედოში“, სპონსორიც ჩვენთანაა.

**— სპონსორის სახელს ვერ გვეტყვით?**

— ეს კლუბის პრეზიდენტის პრეროგატივაა.

**— ახალწვეულები კი გყავთ, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვით. რატომ? ფიქრობთ, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ „ტორპედოს“ მოთხოვნებს?**

— ამ ფეხბურთელებს პერსპექტივა არ აქვთო, ვერ ვიტყვი, უბრალოდ, ამ ეტაპზე „ტორპედოში“ ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. მგონი, მათ საკმარისი დრო ჰქონდათ, რათა გუნდი კატასტროფული მდგომარეობიდან გამოეყვანათ, მაგრამ ეს ვერ შეძლეს.

**— ოთხი-ხუთი ტურია, „ტორპედოში“ დაბრუნდით და რას იტყვით საქართველოს ჩემპიონატის დონეზე?**

— ეროვნული ჩემპიონატის სიძლიერე-სისუსტის მაჩვენებელი ევროტურნირებია, იქ კი ჩვენი კლუბები არაფერს წარმოადგენენ. ეს შეეტყო ნაკრებსაც.

**— მაგალითად, ლატვიის ჩემპიონატი პირველ რიგში რით სჯობია საქართველოსას?**

— ლატვიაში მეტი სერიოზულობით უდგებიან საქმეს: ხელსაყრელი პირობები, კვალიფიციური ფეხბურთელები, კვალიფიციური გუნდები, კვალიფიციური მსაჯობა, უკეთესი ხელფასი, უკეთესი მაისურა, უკეთესი ბუცი, უკეთესი გეტრები...

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

20 ტური მიმოხილვა

# ფრთხილად, წინ ორი მესამედია

არ არის ხარისხი, არის დაძაბულობა — ბოლო წლებია, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ასეთი ზნე სჭირს. მეოცე ტურში ლიდერი არ შეცვლილა, მაგრამ ზესტაფონელი ზურაბ იონანიძის ჩაუქობამ „ვიტ ჯორჯიას“ მღევრები კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა — „სიონი“, „დინამო“, „ამერი“ და „ზესტაფონი“ — მათ ახლა ჩემპიონობის უფრო რეალური შანსი გაუჩნდათ.

„ვიტ ჯორჯია“ მეორე წრეში აქამდე უდანაკარგოდ მიდიოდა, თუმც საკვანძო თამაში მანამდე არ ჰქონია, შედარებით სუსტ მეტოქეებს ამარცხებდა და როგორც კი ძლიერ მოწინააღმდეგე წააწყდა, პირველი მარცხი იწვნია. „ზესტაფონთან“ მატჩის შემდეგ ვიტელთა დამრიგებელმა ნესტორ მუმლაძემ თქვა, წაგებას არ ვიმსახურებდით, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდაო — „ვიტ ჯორჯია“ მართლაც დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა.

მომდევნო ტურში ვიტელებს კიდევ უფრო რთული თამაში ელით: ხვალ „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“, ბოლო დროს ჩვენი ჩემპიონატის ალბათ ყველაზე დიდი დაპირისპირება, რაზეც ხვალინდელ „სარბიელშიც“ გვექნება სალაპარაკო, მაგრამ ის კია, რომ ამ მომენტისთვის „დინამო“ უკეთეს სიტუაციაშია როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად.

ანდრეი ჩერნიშოვის „დინამომ“ სტუმრად დიდი წვალების გარეშე დაამარცხა „ცხინვალი“. თანდათან ფორმაში შედიან გიორგი შაშიაშვილი, ლადო ბურდული და ვიტალი დარასელია — ამ სამეულით „დინამო“ მკვეთრად მოლონიერდა და თავისი ადამიანური რესურსითაც ძალიან სოლიდურად გამოიყურება ჩემპიონობისთვის მებრძოლ კონკურენტებთან. ჩერნიშოვის ხელმძღვანელობით დინამოელებმა მესამე საჩემპიონატო მატჩი მოიგეს, წინა ორ შეხვედრაში კი ხელი მოეცარათ — ფრე და წაგება.

„ვიტ ჯორჯიას“ მღევრებს ალბათ იმადაც მიეცათ გული, რომ ვიტელებს რთული კალენდარი აქვთ — „დინამოს“ შემდეგ მასპინძლობენ „ამერს“, სტუმრობენ „ბორჯომს“, ბოლნისში ეთამაშებიან „სიონს“, აჭარაში „ბათუმს“ — მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას“ ძლიერ გუნდებთან შეხლა წინ აქვს.

ბოლნისის „სიონის“ საპატიო პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით კირკიტაძეა, კლუბს ჰყავს საიმედო პატრონი ბოლნისის გამგეობის სახით და საიმედო სპონსორი — საწარმო „მადნეული“. აქედან მოდის საჩემპიონო ამბიციაც, მაგრამ ისიცაა, რომ კონკურენტებთან მატჩები „სიონს“ ჯერ კიდევ ელის.

„ამერმა“ ვახტანგ ხვადაგიანის კინკილა გოლით მოუგო გორის „დილას“, მაგრამ როცა შეიდმეტრიან კარში თერთმეტი კაცი დგას, ძნელია ღრიჭოს მოძებნა. „ამერმა“ წინა ტურში „დინამოს“ ძლევითაც დაამტკიცა, რომ საქართველოში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია.

არგენტინელი გონსალო დე პორასის დუბლით გაიხარა „ბორჯომმა“. ამ ლათინოშემტევს უკვე სამი გოლი აქვს გატანილი საქართველოს ჩემპიონატში. ბორჯომელებმა „თბილისს“ ისე მოუგეს, რომ მეტოქეს ერთი საგოლე მომენტიც არ შეაქმნევინეს. თბილისელებს ამ კვირიდან ახალი მწვრთნელი ხელმძღვანელობს — გოჩა ტყებუჩავას საკმაო გამოცდილება კი აქვს, მაგრამ გამოუცდელი ახალგაზრდებით და ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელით უმაღლეს ლიგაში დარჩენა ძალიან ძნელი საქმე იქნება.


ზურაბ [illegible] ფოტო

იონა და ბურთი: გადი, მე შენ გეუბნები!

ტურის მშვენება იყო გიორგი ალავერდაშვილის გოლი — ლოკომოტიველმა ეს „ბათუმთან“ მოახერხა. იმ „ბათუმთან“, რომელიც მეორე წრეში საკმაოდ ღონიერია, მაგრამ პირველ წრეში დაკარგული ქულების გამო მაღალი ადგილებისთვის, ალბათ, ვერ იბრძოლებს.

ქუთაისის „ტორპედომ“ ექვსი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, თუმც ფოთის „კოლხეთთან“ ღიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა. ახალ „ტორპედოს“ მომდევნო სეზონში თუ ვიხილავთ, თორემ ფეხბურთელთა წასვლა-მისვლა ამ „ტორპედოს“ ვერ შეცვლის — კლუბს ძირეული ცვლილები სჭირდება.

მეორე წრის პირველი მესამედი უკვე მიილია, დარჩენილ ორ მესამედში კი ჩვენი საფეხბურთო საზოგადოება განსაკუთრებით ფრთხილად და ფხიზლად უნდა იყოს — ამ დროს იღვიძებენ ის სინდიკატები, FAIR PLAY-ის პრინციპები ქუდად და ქალამნად რომ არ მიაჩნიათ.

**დავით თავართქილაძე**




| ბომბარდირები | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11-დვალი | სიონი / დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| 10-მიქუჩაძე | სიონი |
| 9-მეგრელაძე | დინამო |
| დოლიძე | სიონი / ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| ბობოხიძე | დინამო |
| 8-ქორიძე | ბორჯომი |
| სულთანიშვილი | დილა / ცხინვალი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 20 | 15 | 3 | 2 | 40:12 | 48 |
| სიონი | 20 | 15 | 3 | 2 | 38:14 | 48 |
| დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 34:13 | 42 |
| ამერი | 20 | 13 | 2 | 5 | 27:13 | 41 |
| ზესტაფონი | 20 | 12 | 4 | 4 | 28:16 | 40 |
| ბორჯომი | 20 | 12 | 1 | 7 | 34:17 | 37 |
| ბათუმი | 20 | 10 | 5 | 5 | 25:15 | 35 |
| ლოკომოტივი | 20 | 10 | 4 | 6 | 30:19 | 34 |
| კოლხეთი | 20 | 7 | 4 | 9 | 16:21 | 25 |
| კახეთი | 20 | 7 | 2 | 11 | 19:27 | 23 |
| დილა | 20 | 5 | 3 | 12 | 21:28 | 18 |
| ცხინვალი | 20 | 5 | 3 | 12 | 18:38 | 18 |
| ტორპედო | 20 | 4 | 6 | 10 | 14:26 | 18 |
| სოხუმი | 20 | 3 | 2 | 15 | 17:45 | 11 |
| სპარტაკი | 20 | 2 | 5 | 13 | 4:33 | 11 |
| თბილისი | 20 | 1 | 2 | 17 | 11:39 | 5 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი“ თბილისი | ამერი 1:0 დილა | 8,5 | 7,5 | 8,0 | 8,0 |
| „ჰ. ზეინალიშვილი“ ბორჯომი | ბორჯომი 2:0 თბილისი | 7,5 | 6,0 | 8,5 | 7,3 |
| „ტორპედო“ ქუთაისი | ტორპედო 0:0 კოლხეთი | 6,5 | 6,5 | 6,5 | 6,5 |
| „თ. სტეფანია“ ბოლნისი | სიონი 1:0 სოხუმი | 7,0 | 7,0 | 5,0 | 6,3 |
| „არმაზი“ მცხეთა | ვიტ ჯორჯია 1:2 ზესტაფონი | 5,5 | 6,5 | 5,5 | 5,8 |
| „ოლიმპი“ თბილისი | ლოკომოტივი 1:2 ბათუმი | 6,5 | 1,0 | 5,0 | 4,1 |
| „შევარდენი“ თბილისი | სპარტაკი 0:0 კახეთი | 6,0 | 5,0 | 1,0 | 4,0 |
| „კართლი“ გორი | ცხინვალი 0:2 დინამო | 5,5 | 4,0 | 1,5 | 3,6 |

## მომდევნო ტური

29 მარტი, ოთხშაბათი

თბილისი – სპარტაკი
ცხინვალი – ამერი
ზესტაფონი – ბორჯომი
კახეთი – სიონი
სოხუმი – ტორპედო
ბათუმი – დილა
დინამო – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი – ლოკომოტივი

# ქართველები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით სირაძე ფიურტელებმა ვერ შეაჩერეს

## დუბლი №2

### სირაძე ბუნდესდუბლებს დაეჩვია

***ბუნდესლიგაში ქართული დერბი არ შედგა.*** *ლევან კობიაშვილის* „შალკემ“ შინ „ვოლფსბურგი“ ისტუმრა, რომელსაც ტრავმირებული *ლევან ცქიტიშვილი* აკლდა. მატჩი 2:2 დამთავრდა, რამაც გელზენკირხენელები მეოთხე ადგილზე დააქვეითა.

***ზედიზედ მეორე მატჩია, ორი გოლი გააქვს აუელ დავით სირაძეს.*** ჩვენებურმა „ფიურტთან“ გატანილი დუბლი ტრიბუნაზე მჯდომ კლაუს ტოპმიოლერსაც დაანახა და დიდი შანსია, მომავალ შეკრებაზე საქართველოს ნაკრებშიც მიიწვიონ.

***კახა კალაძის „მილანმა“ ისევ მოიგო*** და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეორე ადგილს ინარჩუნებს. ქართველმა მცველმა „ფიორენტინასთან“ მატჩში სრულად ითამაშა.

***ძირითადში იყო ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილიც.*** მისმა გუნდმა აუტსაიდერ „სანდერლენდთან“ კი იმარჯვა, მაგრამ არც ისე შთამბეჭდავად უთამაშია, როგორც ელოდნენ. „ბლექბერნი“ მეხუთე ადგილზეა პრემიერლიგაში.

***მოიგო შოთა არველაძის „ალკმაარმაც“.*** აზელებმა 1:0 სძლიეს „ვალვაიკს“ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისმა კონკურენტებმა წაიფორხილეს, მეორე ადგილზე მყარად სხედან. შოთას ამჯერად არ გაუტანია, იგი მწვრთნელმა 73-ე წუთზე შეცვალა.

***ოთარ მარცვალაძის გარეშე ითამაშა კიევის „დინამომ“ და ოდესის „ჩერნომორეცი“ 4:1 დაამარცხა.*** სტუმართაგან ძირითადში იყვნენ *ილია კანდელაკი* და *კახა მჟავანაძე*, თუმც „დინამო“ იმდენად აღემატებოდა მათ გუნდს, რომ თავი დიდად არაფრით გამოუჩენიათ.

***ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ ვერაფერი მოუხერხა ხარკოვის „მეტალისტს“*** და თან *დავით კვირკველიაც* დაკარგა. ჩვენებურმა ტრავმა მიიღო და 28-ე წუთზე შეცვალეს. რაც შეეხება ხარკოველ *ლაშა ჯაკობიას*, იგი მწვრთნელმა სათადარიგოებში დატოვა, ნაკრებიდან გადაღლილი დაბრუნდაო.

***ნაკრებში მყოფი კიდევ ერთი ფორვარდი ვასილ გიგიაძე კი „ზაკარპატიესთან“ მატჩში ძირითადში იყო*** და ერთადერთი გოლით „კრივბასს“ მოაგებინა კიდეც. ვასოს გუნდმა უკვე მეთერთმეტე ადგილზე აინაცვლა და სახიფათო ზონასაც დაშორდა.

***ორი ქართული გოლი გავიდა კვიპროსის ჩემპიონატში.*** *ამირან მუჯირმა* მაჩანჩალა ოოი-ს გაუტანა და მისმა „ანართოსისმა“ 6:0 მოიგო. აი, ლევან ქებაძის გოლმა კი ვერაფერი უშველა „აშნას“ — 1:2 „აპოლონთან“.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ფიორენტინა 3:1 | 90 | | 21 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვოლფსბურგი 2:2 | 90 | | 26 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | შალკე 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 15 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | ფიურტი 3:1 | 89 | 2 გოლი, გააფრთხ, შეცვალეს | 7 | 4 | 11 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | მიუნსტერი 2:1 | 90 | | 19 | 1 | 5 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | ვეჰენი 3:1 | 0 | | 16 | 12 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | სანდერლენდი 1:0 | 90 | | 19 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | ს | ქსამაქსი — გადაიდო | 0 | | 2 | 2 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ვალვაიკი 1:0 | 73 | შეცვალეს | 26 | 21 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ჰერენვენი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ლუჩ-ენერგია 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 12 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | ლუჩ-ენერგია 1:1 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 12 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | ლუჩ-ენერგია 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | ს | კრილია 0:0 | 90 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | კრილია 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 4 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | კრილია 0:0 | 90 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 4 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | კრილია 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | კრილია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | ს | სატურნი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | რუბინი 0:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 5 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | შ | ლოკომოტივი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 8 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | სპარტაკი 2:2 | 0 | ავად იყო | 1 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ანჟი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ჩერნომორეცი 4:1 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ჩერნომორეცი 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ჩერნომორეცი 4:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | მეტალისტი 0:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 2 | 15 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | მეტალისტი 0:0 | 28 | შეცვალეს | 4 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | მ. ზაპოროჟიე 0:0 | 0 | სათადარიგო | 19 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | დინამო 1:4 | 90 | | 14 | 0 | 3 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | დინამო 1:4 | 90 | | 4 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | ზაკარპატიე 1:0 | 90 | 1 გოლი | 21 | 7 | 11 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | შ | სტალი 5:2 | 90 | | 4 | 0 | 12 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | ს | შახტარი 0:1 | 71 | შეცვალეს | 4 | 0 | 14 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | ტავრია 2:5 | 90 | | 21 | 1 | 13 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | იონიკოსი 0:0 | 90 | | 19 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ოოი 6:0 | 0 | | 17 | 7 | 4 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ოოი 6:0 | 90 | | 19 | 4 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ოოი 6:0 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | ს | ოოი 6:0 | 90 | 1 გოლი | 7 | 2 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | აპოლონი 1:2 | 90 | 1 გოლი | 16 | 6 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს

# ფრთხილად, ჰაიბერიზე კობრაა!

## არსენალი (ინგლისი) – იუვენტუსი (იტალია)

ლონდონი. „ჰაიბერი". მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

| არსენალი | იუვენტუსი |
|---|---|
| ლემანი — ებუ, კ. ტურე, სენდეროსი ან ს. კემპბელი, ფლამინი — ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები, რეიესი — ანრი | ბუფონი — ბალძარეტი, ტურამი, კანავარო, ძამბროტა — კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, კიელინი — ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი |

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| არავინ | პაველ ნედვედი (1 მატჩი) |



დრო იყო, ვიეირა, პირესი და ანრი არსენალურად ხარობდნენ

**პატრიკ ვიეირა** თითქმის ათი წელი „არსენალის" ღირსებას იცავდა. მას კაპიტნის სამკლავურიც ეკეთა და გუნდის ლიდერი გახლდათ. დღეს კი ფრანგი ნახევარმცველი „ჰაიბერიზე" „იუვენტუსის" მაისურით ითამაშებს და ეცდება, ყველაფერი, რაც ლონდონელთა თამაშზე იცის, მათ საწინაალმდეგოდ გამოიყენოს.

„ჯერ კიდევ რვა თვის წინ იგი ჩემი გუნდის კაპიტანი იყო. პატრიკი „არსენალის" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. იგი ძალიან ახალგაზრდა ჩამოვიდა და კლუბთან ერთად გაიზარდა. მას საოცარი ფიზიკური მონაცემები და ასევე ლიდერობის ნიჭი აქვს" — ამბობს არსენ ვენგერი.

ლილიან ტურამი ახლა 34 წლისაა, მას ძალიან წარმატებული კარიერა აქვს და მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნევა. თუმცა 15 წლის წინ ტურამს არავინ იცნობდა, როდესაც იგი „მონაკოში" იყო, მაგრამ მონაკოელთა მაშინდელ მწვრთნელ არსენ ვენგერს პერსპექტიული ბიჭი უყურადღებოდა არ დარჩენია. ტურამის პროფესიული დებიუტიც სწორედ ვენგერის ხელში შედგა, რის გამოც ვეტერანი მცველი „არსენალის" ახლანდელ თავკაცს ყოველთვის თბილი სიტყვებით იხსენიებს.

არსენ ვენგერი: „ლილიანი ტურინელთა დაცვის ბურჯია. იგი უაღრესად ძლიერი ნებისყოფის ადამიანი. ყოველთვის მაოცებდა კონცენტრაციის უნარით და ყურადღებით. ტურამი ინგლისურ ფეხბურთს ბრწყინვალედ შეეწყობოდა და რამდენჯერმე ვცადე მისი ყიდვა, მაგრამ ძალიან ძვირი დაგვიფასეს".

მივადექით კიდევ ერთ ფრანგს, დავიდ ტრეზეგეს. როდესაც იგი „მონაკოში" მივიდა, ვენგერი უკვე ორი წლის წასული იყო, მაგრამ კლუბში ტრეზეგე სწორედ ახალგაზრდების შერჩევის იმ პროგრამით მოხვდა, რომელიც ვენგერმა შექმნა. შემდეგ კი ნიჭი გამოავლინა, „იუვენტუსში" გადავიდა და ტურინელთა ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. „მეთოფეებს" ყველაზე მეტად სწორედ მისი ეშინიათ.

„ტრეზეგე კობრასავით არის და ნებისმიერ მომენტში შეუძლია მოგკლას — აგრძელებს ვენგერი — იგი შეიძლება ნახევარი საათი მინდორზე ვერც შეამჩნიოთ, მაგრამ როდესაც შანსი მიეცემა, გაიტანს. დავიდს მეტოქის საჯარიმოში უყვარს ყოფნა, მისი საქმე ესაა. იგი დამაგვირგვინებელ ფაზაში უბადლოა. თანაც თავით და ორივე ფეხით ბრწყინვალედ თამაშობს. ერთი სიტყვით, მისი ამოკეტვა ჩვენი მთავარი მიზანი იქნება".

ახლა „მეთოფეების" მთავარ იარაღზე, ასევე ფრანგ ფორვარდ ტიერი ანრიზეც ვთქვათ. პატრიკ ვიეირას წასვლის შემდეგ იგი „არსენალის" კაპიტანი და უპირობო ლიდერია. თანაც ამჟამად ჩინებულ ფორმაშია. ძველ კავშირებს ვერც აქ გავექცევით. 1999 წელს ანრი ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ „იუვენტუსში" მან ნიჭი მთლად ვერ გამოავლინა, ან კარგად ვერ შეაფასეს და არსენ ვენგერმაც იგი „არსენალში" წაიყვანა, რის მერეც ანრი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდად იქცა.

წესით, ანრის ფლანგებიდან ხოსე ატონიო რეიესი და ფრედერიკ ლიუნგბერგი უნდა დაეხმარონ. ორივე მათგანს მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ ექიმები ირწმუნებიან, ითამაშებენო. საეჭვოა სოლ კემპბელის მინდორზე გასვლა. თუ იგი მომჯობინებას ვერ მოასწრებს, კვლავ ფილიპ სენდეროსი შეცვლის. ნახევარდაცვის ცენტრში კი პატრიკ ვიეირას როლს 18 წლის ფრანსესკ ფაბრეგასი შეასრულებს.

„იუვენტუსი" ძალიან გამოცდილი გუნდია, მას შეუძლია, მხოლოდ ორი მომენტი შექმნას და ორივე გამოიყენოს. თანაც პირველი მატჩი სახლში გვაქვს და იცი, რომ უნდა შეუტიო, მაგრამ თუ გოლს გაუშვებ, რთულ ვითარებაში ჩავარდები. თუმცა „რეალთან" მოგებულმა ბრძოლამ საკუთარი თავის რწმენა შეგვმატა" — დასძინა ვენგერმა.

„არსენალს" გასულ უქმეებზე გაუმართლა. მისი მატჩი „პორტსმუთთან" დატბორილი მოედნის გამო გადაიდო და „მეთოფეები" დასვენებულნი არიან. აი, „იუვენტუსს" კი პირიქით, „რომასთან" მძიმე ბრძოლა გადახდა და იმ მატჩში ალესანდრო დელ პიეროც დაკარგა. ფაბიო კაპელომაც სწორედ ამაზე დაიწუწუნა.

„სამწუხაროა, რომ ჩვენ „რომასთან" ბევრი ძალა დავხარჯეთ. თანაც ნედვედის გაძევების გამო მთელი მეორე ტაიმი 10 კაცით ვითამაშეთ, ხოლო დელ პიერო დაშავდა. ამ დროს კი „არსენალმა" დაისვენა. თუმცა რას ვიზამთ, ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ" — აღნიშნა კაპელომ.

დელ პიეროს ტრავმა ახლა ტურინელთათვის ორმაგი დანაკლისია, რადგანაც პაველ ნედვედი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს. შესაბამისად, კაპელოს ტრეზეგეს მეწყვილედ არცთუ კარგ ფორმაში მყოფი ზლატან იბრაჰიმოვიჩის დაყენება მოუწევს, ხოლო შეტევის გასაძლიერებლად ოდენ აღრიან მუტუ და მარსელო ზალაიეტა რჩება. დონ ფაბიომ ნედვედის ადგილის შევსება საკმაოდ ორიგინალურად გადაწყვიტა. იგი ახალგაზრდა გარემარბ ჯორჯო კიელინის მარცხენა ფლანგზე, ჯანლუკა ძამბროტას წინ გამწესებას უპირებს.

დაბოლოს, ამ კლუბების ურთიერთშეხვედრებიც გავიხსენოთ. 2001-02 წლების სეზონში ისინი ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ. მაშინ „ჰაიბერიზე" „არსენალმა" 3:1 მოიგო, ხოლო „დელე ალპიზე" უკვე უმოტივაციო ტურინელებმა (ჯგუფიდან ვერ გადიოდნენ) „მეთოფეებს", რომლებსაც მოგება სჭირდებოდათ, სათადარიგო შემადგენლობა დაახვედრეს, მაგრამ მაინც დაამარცხეს 1:0. 1979-80 წლების სეზონში კი თასების თასის ნახევარფინალში „არსენალმა" იტალიაში 1:0 მოიგო, ხოლო ინგლისში შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

**გიორგი ძაძაბაძე**

### არსენალის ბოლო ათი საშინაო მატჩი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი— ჩარლტონი | 3:0 | პლ |
| არსენალი — ლივერპული | 2:1 | პლ |
| არსენალი— რეალი | 0:0 | ჩლ |
| არსენალი —ბოლტონი | 1:1 | პლ |
| არსენალი — ვესტჰემი | 2:3 | პლ |
| არსენალი — უიგანი | 1:0 | ლთ |
| არსენალი — მიდლსბრო | 7:0 | პლ |
| არსენალი — კარდიფი | 2:1 | ათ |
| არსენალი — მანჩესტერი | 0:0 | პლ |
| არსენალი — პორტსმუთი | 4:0 | პლ |

პლ — პრემიერლიგა, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ლთ — ლიგის თასი, ათ — ასოციაციის თასი

### იუვენტუსის ბოლო ათი მატჩი სტუმრად

| | | |
|---|---|---|
| ლივორნო — იუვენტუსი | 1:3 | სA |
| სამპდორია — იუვენტუსი | 0:1 | სA |
| ვერდერი — იუვენტუსი | 3:2 | ჩლ |
| მესინა — იუვენტუსი | 2:2 | სA |
| ინტერი — იუვენტუსი | 1:2 | სA |
| რომა — იუვენტუსი | 0:1 | ით |
| ასკოლი — იუვენტუსი | 1:3 | სA |
| კიევო — იუვენტუსი | 1:1 | სA |
| პალერმო — იუვენტუსი | 1:2 | სA |
| ლაციო — იუვენტუსი | 1:1 | სA |

სA — სერია A, ჩლ — ჩემპიონთა ლიგა, ით — იტალიის თასი

# გალიზიანებული



ანდრეი შევჩენკო

**„მილანის"** ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ განაცხადა, რომ კარიერის დასრულება შავ-წითელი მაისურით სწადია და ამ განცხადებით, ალბათ, „ჩელსის" გაუცრუა იმედი. მოგეხსენებათ, მას მერე რაც ლონდონელები ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნენ მათმა პატრონმა რომან აბრამოვიჩმა მიზნად შევჩენკოს ყიდვა დაისახა და აქა-იქ გამოჩნდა კიდეც სტატიები რომელთა ავტორები ამ ტრანსფერს პერსპექტიულს უწოდებდნენ.

„ჩემზე და „ჩელსიზე" რომ ლაპარაკობენ უკვე მალიზიანებს — განაცხადა ფრანგული „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში უკრაინელმა ვარსკვლავმა — „მილანთან" კონტრაქტით კიდევ სამი წელიწადი მაკავშირებს. ვფიქრობ მხოლოდ „მილანზე" და მინდა მიმდინარე სეზონი რაც შეიძლება უკეთ ჩავამთავრო. მოკლედ, ყველას გასაგონად მინდა გავიმეორო, რომ „მილანში" თავს საუცხოოდ ვგრძნობ და მართალია ფეხბურთში მთელ ცხოვრებას ვერ დაგეგმავ, გავიმეორებ, რომ კარიერის დამთავრება აქ მინდა".

ამსტერდამის „აიქსის" ფეხბურთელი უესლი სნეიდერი მომავალ სეზონში შესაძლოა, „მილანში" ვიხილოთ. ბოლო პერიოდში „როსონერის" მის სახელს ხშირად უკავშირებენ. იტალიელები 21 წლის ნახევარმცველით საკმაო ხანია დაინტერესებულნი ყოფილან. ეს ჰოლანდიელს ძალიან სიამოვნებს და ამაბობს, რომ „სან სიროზე" გადასასვლელად მზადაა.

„მილანის" ჩემდამი ინტერესი ძალიან მახარებს, ფანტასტიკური კლუბია. ვფიქრობ, ასეთ მაღალ დონეზე სათამაშოდ მზად ვარ. თუმცა მესმის, რომ ეს ტრანსფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. დანარჩენი უკვე „აიქსისა" და „მილანის" საქმეა. მეტს ვერაფერს ვიტყვი" — აღნიშნა სნეიდერმა.

„როსონერი" მომავალ ზაფხულს რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებს და, როგორც ჩანს, სნეიდერიც მათ სიაშია. მით უმეტეს, რომ „მილანს" ნახევარდაცვის გაძლიერებაც უნდა, ხოლო პსვ-დან დამატებულმა იოჰან ფოგელმა მოლოდინი ვერ გაამართლა და შესაძლოა, სეზონის ბოლოს დატოვოს კიდეც „სან სირო". ფოგელით „მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული.

**გიორგი ძაძაბაძე**



უესლი სნეიდერი

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი. დღეს

## ბენფიკა (პორტუგალია) – ბარსელონა (ესპანეთი)

ლისაბონი. „და ლუში". მსაჯი: სტივენ ბენეტი (ინგლისი)

| ბენფიკა | ბარსელონა |
|---|---|
| მორეტო — ნელსონი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო — მ. ფერნანდეში, პეტიტი, ჟოვანი, რობერი — სიმაო, მიკოლი | ვ. ვალდესი — ბელეტი, როდრი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი — დეკო, მოტა, ვან ბომელი — რონალდინიო, ლარსონი ან ჟიული, ეტოო |

**დისკვალიფიცირებული**

| | |
|---|---|
| ნუნუ გომეში (1 მატჩი) | კარლეს პუიოლი (1 მატჩი) |

**ბენფიკას ბოლო ათი საშინაო მატჩი**

| | | |
|---|---|---|
| ბენფიკა — ბრაგა | 1:0 | პჩ |
| ბენფიკა — გიმარაეში | 0:1 | პთ |
| ბენფიკა — ნავალი | 0:0 | პჩ |
| ბენფიკა — პორტუ | 1:0 | პჩ |
| ბენფიკა — ლივერპული | 1:0 | ჩლ |
| ბენფიკა — პენაფიელი | 4:0 | პჩ |
| ბენფიკა — ნასიონალი | 0:0 | პთ |
| ბენფიკა — სპორტინგი | 1:3 | პჩ |
| ბენფიკა— აკადემიკა | 3:0 | პჩ |
| ბენფიკა — ფერეირა | 2:0 | პჩ |

პჩ — პორტუგალიის ჩემპიონატი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
პთ — პორტუგალიის თასი

**ბარსელონას ბოლო ათი მატჩი სტუმრად**

| | | |
|---|---|---|
| მალაგა — ბარსელონა | 0:0 | პდ |
| სოსიედადი — ბარსელონა | 0:2 | პდ |
| ოსასუნა — ბარსელონა | 2:1 | პდ |
| სარაგოსა — ბარსელონა | 0:2 | პდ |
| ჩელსი — ბარსელონა | 1:2 | ჩლ |
| ვალენსია — ბარსელონა | 1:0 | პდ |
| მალიორკა — ბარსელონა | 0:3 | პდ |
| სარაგოსა — ბარსელონა | 4:2 | ეთ |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 1:2 | პდ |
| ზამორა — ბარსელონა | 1:3 | ეთ |

პდ — პრიმერადივიზიონი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ეთ — ესპანეთის თასი

# ბარსელონამ ინტერნეტში წააგო

„ეშტადიუ და ლუში" დიდი შეხვედრის მოლოდინშია. დღეს ლიგის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „ბენფიკა" „ბარსელონას" მასპინძლობს. პორტუგალიელებისთვის ახლა რონალდ კუმანის „ბენფიკა" ქვეყნის ნაკრებია. თითქმის ყველა ლუზიტანი (თვით „მოსისხლე მტრების", „სპორტინგისა" და „პორტუს" ფანებიც) კატალონიელებთან ჯახში ლიშბოელ „არწივებს" უქომაგებენ. ამის ნათელი მაგალითი სეუ ჟესუალდო ფერეირას, „ბრაგას" მწვრთნელის სიტყვებია. „ბრაგამ" ქვეყნის ჩემპიონატის მატჩი სწორედ „ბენფიკასთან" წააგო, ფერეირამ კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველად ის თქვა, კუმანს და მის ბიჭებს „ბარსასთან" გამარჯვებას ვუსურვებო... იქაური მთავარი გაზეთების საინტერნეტო ვებ-გვერდებზე გამოკითხვა მოეწყო და ლუზიტანთა საომარი შემართებაც ნათლად ჩანს. „ა ბოლას" მკითხველთა 61 პროცენტი დღეს „ბენფიკას" გამარჯვებაშია დარწმუნებული. „რეკორდის" მკითხველთა 57 პროცენტიც ასე ფიქრობს, ხოლო „ო ჟოგოს" შეკითხვაზე, „ბარსასთან" კუმანის გუნდმა როგორ უნდა ითამაშოსო,



გამოკითხვაში მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა ერთ აზრზეა — შეტევა, შეტევა და მხოლოდ შეტევა!

„ეშტადიუ და ლუჟის" ინჩადა რომ „ბენფიკას" ჩვეულჯადოსნურად მხარს დაუჭერს, უტყუარი ამბავია. ახლა უშუალოდ მატჩში მონაწილეთა შესახებ ვისაუბროთ.

„ბენფიკას" მთავარი საზრუნავი ნუნუ გომეშის არყოფნაა — „არწივთა" მეგოლე სანქცირებულია. პორტუგალიური მედიის ცნობით, კუმანი მოიერიშეთა ხაზზე გომეშის ადგილას იტალიელ ფაბრიციო მიკოლის დააყენებს. „რეკორდში" ვკითხულობთ, მწვრთნელმა „ბრაგასთან" მიკოლი ერთი წუთითაც არ გამოიყვანა მოედანზე და დასვენებულ აპენინელს კატალონიელებთან აბრძოლებსო. თუმცა შეიძლება, გომეში ანგოლელმა პედრო მანტორასმა ან კიდევ ბრაზილიელმა „ტანკმა", მარსელმა, შეცვალოს.

„მიკოლი და მანტორასი ორივე შესანიშნავი მოთამაშეა — პირველის ძალა სისწრაფეშია, მეორისა — ფიზიკურ სიმძლავრეში, თუმც მეტოქეების გამწარებას ორივე მოახერხებს — უთხრა „ო ჟოგოს" ტონი ბრუინს სლოტმა, კუმანის თანაშემწემ. ჰო, ერთიც — „ბენფიკას" აქვს ერთი სუსტი წერტილი, რომელზეც ფანები ფრიად ღელავენ — ორმეტრიან მეკარეს, ბრაზილიელ მორეტოს, თანამედროვე გოლკიპერთა „სენი" სტანჯავს, გამოსვლაზე უმწეოა.

„ბარსელონას" „და ლუჟზე" ტრავმირებულები — მესი, რაფა მარკესი, ედმილსონი, ხავი და სანქცირებული კარლეს პუიოლი დააკლდებიან. „მალაგასთან" ბოლო თამაშში მცირე ტრავმები სილვინიომ და ეტოომაც მიიღეს, თუმც ესენი პორტუგალიაში მაინც ითამაშებენ. „მალაგასთან" რონალდინიოს არ უბურთავია და „ბენფიკას" აოხრებას დასვენებული შეუდგება.

ბოლოს, რამდენიმე საინტერესო დეტალიც აღვნიშნოთ. მაგალითად ის, რომ თავის დროზე, „ბენფიკა" ახლანდელ მწვრთნელს, კუმანსაც გაუმწარებია და მეტოქე რაიკარდსაც. 1991-92-ის სეზონში კუმანმა და „ბარსამ" არწივები ჩემპიონთა თასის ნახევარფინალიდან გამოთიშეს, ხოლო ორი წლით ადრე „მილანმა" და რაიკარდმა „ბენფიკას" სულაც ფინალური მატჩი მოუგეს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ „ბენფიკამ" წლეულს ლიგიდან წინა გათამაშების ჩემპიონი „ლივერპული" გამოთიშა. ექსპორტუელი დეკუ ჩადის „და ლუჟზე" და იქაურთა რისხვასაც ელის — „ბენფიკა" ახლა, მოგეხსენებათ, „ნაკრებია", ხოლო მტრის ბანაკში მეომარი დეკუ ხალხს არაფრად მოსდის თვალში.

**ლადო ხომერიკი**



ჯამპიერო ვენტურა

# მუტი ფანებმა გააგდეს

**იტალიური** „მესინას" მთავარი მწვრთნელი ბორტოლო მუტი პოსტიდან დაითხოვეს. სიცილიელები კრიზისში იმყოფებიან და გასავარდნი ზონიდან ამოსვლას ვერ ახერხებენ, მაგრამ მუტის მოხსნა მაინც ცოტა მოულოდნელი გახლდათ, რადგანაც კლუბის პრეზიდენტმა, პიეტრო ფრანტამ, ცოტა ხნის წინ განაცხადა, იგი გუნდში მაინც დარჩება, თუნდაც სერია A-დან გავვარდეთო. თუმცა გასულ უქმეებზე „მესინამ" შინ პრინციპულ მატჩში ვერ სძლია მასზე ერთი საფეხურით წინ მყოფ „უდინეზეს", რითაც „სან ფილიპოზე" შეკრებილი ქომაგების აბსოლუტური უმეტესობა ძალიან უკმაყოფილო დარჩა და მუტის გადაყენება კატეგორიულად მოითხოვა.

აპენინური პრესის ცნობით, „მესინას" ახალი თავკაცი ჯამპიერო ვენტურა გახდება, მაგრამ მხარეები კონტრაქტს მას მერე გააფორმებენ, რაც იგი „ნაპოლისთან" შეთანხმებას გაწყვეტს. მართალია, ნეაპოლელებმა ვენტურა შარშან დაითხოვეს, მაგრამ მას კლუბთან კონტრაქტი კიდევ აკავშირებს და ეს საკითხი იურიდიულად არის მოსაგვარებელი, რასაც დიდი დრო არ დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ბარტოლო მუტიმ „მესინა" 2003-04 წლების სეზონში ჩაიბარა, სერია A-ში აიყვანა და უმაღლეს ლიგაში პირველი სეზონი საკმაოდ წარმატებული ჰქონდა. მთლიანობაში მან სიცილიელებს 108 მატჩში უთავკაცა. აქედან გუნდმა 38 მოიგო, 37 წააგო და 33-ჯერ ფრედ ითამაშა.

**ბოკა ბანდელაკი**

# კუმანს ასწლეულზე ჩემპიონობა შეუკვეთეს

**როტერდამის** „ფეიენოორდმა" მწვრთნელ ერვინ კუმანთან კონტრაქტი 2009 წლის ივლისამდე გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ მან ამ პოსტზე გასულ წელს რუუდ გულიტი შეცვალა.

„ერვინმა პირველივე სეზონში დაამტკიცა, რომ საქმე იცის. ამიტომ მასთან თანამშრომლობას ვაგრძელებთ. 2008 წელს ჩვენ ასწლეულს აღვნიშნავთ და გვინდა, ამას ჩემპიონობა დავამთხვიოთ." — აღნიშნა „ფეიენოორდის" თავმჯდომარე იორენ ვან დენ ჰერიკმა.



ერვინ კუმანი

მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილია თავად ერვინ კუმანიც. მან უარყო ჭორები, თითქოს პსვ-ში გუს ჰიდინკის შემცვლელად მიდის.

„ჩემი ძმა რონალდი მართლაც განიხილება გუს ჰიდინკის შემცვლელად, მაგრამ მე პსვ-სთან კონტრაქტი არ მქონია. „ფეიენოორდში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და მჯერა, გუნდის გადახალისების შემდეგ, მომავალ სეზონში, გაცილებით უკეთ ვითამაშებთ" — განაცხადა ერვინ კუმანმა.

**ბოკა ბანდელაკი**



**განმარტება:** საფრანგეთის მეორე დივიზიონის 31-ე ტურის მატჩი „ბრესტი" — „სეტე", რომელიც წინა შაბათს გაიმართა, მე-17 წუთზე მოედნის დატბორვის გამო შეწყდა, როცა „ბრესტი" 1:0 იგებდა.

საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის გუშინდელი გადაწყვეტილებით, მატჩი 11 აპრილს, სამშაბათს გაიმართება. ოღონდ ჯერჯერობით უცნობია, შეხვედრა მე-17 წუთიდან განახლდება თუ თავიდან დაიწყება.



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

**B ჯგუფი**

**ინგლისი, პარაგვაი ტრინიდადი, შვედეთი**

# ფეხშიშველი შვედის გუნდი

**ინგლისის ნაკრები** მსოფლიოს ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტადაა მიჩნეული, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისში. ინგლისელებს მართლაც საოცნებო გუნდი ჰყავთ.

თუკი ვინმესთან ჰქონდა საჭიდაო ინგლისს თავის ჯგუფში, პოლონეთის ნაკრები იყო. ჰოდა, პოლონეთის ნაკრებს ინგლისმა ორჯერვე მოუგო, ფეხი კი იქ დაუცდა, სადაც არ მოელოდა, „უინძორ პარკზე“ ჩრდილოირლანდიელებმა სირცხვილი აჭამეს და 1:0 დაამარცხეს. ამ დროს ინგლისს უკვე შემაშფოთებლად წაეგო ამხანაგური მატჩი დანიასთან და აშკარად ვერ იყო ძველებურ სვლაზე. პირველ წრეში ავსტრიაში ნათამაშებმა ფრემაც თავისი ორი ქულა შეახსენა სვენ გორნ ერიკსონს და პანიკაც დაიწყო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ჩრდილოეთ ირლანდიამ ინგლისს უკანასკნელად მაშინ მოუგო, როცა არტურ კონან დოილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ანუ 78 წლის წინათ. ასე იყო, თუ ისე, ინგლისმა მაინც მოახერხა ბრძოლა: გაჭირვებით მოუგო ავსტრიას და პოლონეთთან საბრძოლველად თავზეხელაღებული გავიდა. ინგლისელთა ბედი ამ თამაშში მარტო მათ მოგებაზე არ ეკიდა. სხვა ჯგუფებშიც უნდა დათვლილიყო ყველაფერი და საქმე აქედან გაირკვეოდა. რადგან ჰოლანდიამ ჩეხეთს მოუგო, ინგლისელთა ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატზე დაცული ჩანდა, თუმც ამის მაყურებელი ვინლა იყო. პოლონელებთან მატჩის გმირად ფრენკ ლამპარდი იქცა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა, მაიკლ ოუენმა კი ამ მატჩში გარი ლინეკერის 22 გოლიან სანაკრებო რეკორდს უწია. გამარჯვება ცხრა წუთით ადრე მოვიდა და სვენ გორან ერიკსონმაც შვებით ამოისუნთქა.



* * *

*მწვრთნელი:* სვენ გორან ერიკსონი მეხუთე წელიწადია ინგლისის ნაკრების მენეჯერია. მშვიდი, გაწონასწორებული, ინტელიგენტური, ფეხბურთში ფსიქოლოგიური და ფიზიკური კულტურის სახელმძღვანელოების შემომტანი კაცი ერთთავად სკანდალებშია გახვეული: ხან სასიყვარულოში, ხანაც საფეხბურთოში. იან რაიტმა ერთხელ თქვა, მის ოფისში ქალები მხოლოდ იმიტომ მუშაობენ, რომ...

ერიკსონი ეგებ ერთადერთი მწვრთნელია მოახლოებულ მსოფლიოს თასზე, რომელმაც წინდაწინ გამოაცხადა, ჩემპიონატს მოვილევ თუ არა, მივდივარო. ეგებ არც ეთქვა ეს, მაგრამ მორიგ სკანდალში გაეხვა: არაბ შეიხად გადაცმულ ჟურნალისტს საფეხბურთო გული გადაუშალა და იძულებული შეიქნა ასოციაციის პოზიცია გაეზიარებინა. ხელფასი და სამუშაო კი დიდებული ჰქონდა და თუმც ინგლისი ტიტულებით ვერ შეამკო, სტაბილურობა კი შესძინა. წავალო, თქვა ერიკსონმა, მაგრამ მანამდე წავიდეთ და მოვიგოთ მსოფლიოს თასიო. ამ ნათქვამმა მთელი ინგლისი ალაფრთოვანა და შვედის არმოყვარენიც ერთი ხნით დაადუმა, კაცი ამბობს, ორი თვე მაცალეთ, მერე საერთოდ წავალ, დავიკარგები თქვენი თვალსაწიერიდანო. ერიკსონი ინგლისის ნაკრების პირველი უცხოელი მწვრთნელია. მას ძალიან უნდა, რომ მხოლოდ ულრიკა სვენსონის საწოლი ოთახიდან ფეხშიშველი გამოპარული არ დაამახსოვრდეთ.

* * *

*კაპიტანი:* ნაკრების კაპიტნად ახლა დევიდ ბექჰემია. ბექემს მილიონები მოაქვს ყველასთვის, ვის მაისურასაც ჩაიცვამს და გეების საყვარელი ფეხბურთელიც ყოფილა. ამავდროულად, ბექემი საკმაოდ კარგად თამაშობს ფეხბურთს და „რეალში“ წამოწყებული წმენდა დიდად არ ემუქრება, სწორედ მისმა იმიჯმა აქცია „რეალი“ უმდიდრეს კლუბად. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ სულ მალე ბექემი ალბიონზე დაბრუნდება. თუ სად, ესეც გამოჩნდება. სანაკრებოდ ბექემი ყოველთვის თავდაუზოგავია და კაპიტნადაც არა უშავს, თანაც ნახევარდაცვაში ისეთი ხალხი უდგას გვერდით, რომლებთან თამაშიც მისთვის ნამდვილად სიამოვნებაა: ფრენკ ლამპარდი და სტივ ჯერარდი მოედნის ლომები არიან.

*საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი:* ეს ტიტული, შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელს შორის განაწილდეს: ფრენკ ლამპარდი და მაიკლ ოუენი, ალბათ, ყველაზე უკეთესები იყვნენ. ფრენკს ჩვევა აქვს, რომ მთელი გუნდი წამოიკიდოს და ზურგით ათრიოს, ოუენს კი კვლავაც არ დვიწყებია გოლის გატანა, თუმცა სამსოფლიოთასოდ მას ცუდი ამბავი დაემართა. ტრავმის მორჩენას კიდევ ერთი თვე უნდა და საბოლოოდ გამოვა, რომ ნამდვილი ფეხბურთი მაიკლს 16 კვირაა არ უთამაშია და პრემიერლიგის დარჩენილ ტურებში ფორმაში შესვლა როგორ უნდა მოასწროს. მოკლედ, ეს სადავიდარაბო და საწუხარი ამბავია, თუმცა შვედი, ალბათ, მაინც ჩაწერს მაიკლს 23 კაციან სიაში და ვითარებისამებ ძირითადსაც ანდობს. და მაინც, ფრენკ ლამპარდი.

* * *

*ლეგენდა:* აწგარდაცვლილი კაპიტანი ბობი მური, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. ამ ფეხბურთელს თამაშის კითხვის სრულიად განსაკუთრებული უნარი ჰქონდა.

* * *

*დღევანდელი ვარსკვლავი:* საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემდეგ გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების მთავარი იმედი მსოფლიოს თასზე უეინ რუნია და ვარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად, სწორედ ამ 20 წლის ბიჭზე ჰკიდია, თუ რამდენად შორს წავა ინგლისი. რუნი საფეხბურთო ფენომენია, ევრო 2004-ზე სასწაულები მოახდინა და ფეხი რომ არ მოსტეხოდა, ინგლისი ფინალსაც იოლად უწევდა. რუნის მარტო იმედად კი არ სახავენ, ამბობენ, რომ სწორედ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩამოიქნება ის, როგორც ინგლისის უახლესი ათწლეულის ლიდერი. თავად ფეხბურთელი ახლა ბრწყინვალე ფორმაშია და კარგა ხანია, თავისი სისულელეებიც არ გამოუვლენია, რაც, ძირითადად, მსაჯებისადმი ტაშის კვრაში გამოიხატებოდა.

* * *

\+ ინგლისი ძალიან მაღალხარისხოვანი ფეხბურელებით დაკომპლექტებული გუნდია.

* * *

– სიძლიერის მიუხედავად, თამაში უჭირს ხოლმე და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩააგდებს.

* * *

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისელთა გოლი გერმანიის კარში დღემდე სალაპარაკოა. გასულ კვირას, ახალი უემბლის მშენებლობაზე იმ თამაშის მონაწილე 8 გერმანელი და 6 ინგლისელი ბერიკაცი შეიკრიბა. მეკარე ტილკოვსკიმ მარტინ პიტერსს უთხრა: ის გოლი არ ყოფილა — შენ საიდან იცი, ბურთი შენს ზურგს უკან იყო და ჩემს წინ. არ დავამატე იმიტომ, რომ შიგნით დაეცა, — მიუგო პიტერსმა. მოკლედ, მეგობრობა და დავა გრძელდება, ინგლისი კი მას აქეთ აღარასოდეს ყოფილა ჩემპიონი.



* * *

*აზრი:* „ჩვენი ნაკრები კარგად ითამაშებს გერმანიაში და თასის მოგების დიდი შანსიც აქვს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩემპიონი ბრაზილია გახდება“ — გლენ ჰოდლი.

### ინგლისის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | ინგლისი — პარაგვაი | ფრანკფურტი |
| 15 ივნისი | ინგლისი — ტრინიდადი | ნიურნბერგი |
| 20 ივნისი | შვედეთი — ინგლისი | კიოლნი |

### ინგლისის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 04.09.2004 | ავსტრია — ინგლისი | 2:2 |
| 08.09.2004 | პოლონეთი — ინგლისი | 1:2 |
| 09.10.2004 | ინგლისი — უელსი | 2:0 |
| 13.10.2004 | აზერბაიჯანი — ინგლისი | 0:1 |
| 26.03.2005 | ინგლისი — ჩრდ. ირლანდია | 4:0 |
| 30.03.2005 | ინგლისი — აზერბაიჯანი | 2:0 |
| 03.09.2005 | უელსი — ინგლისი | 0:1 |
| 07.09.2005 | ჩრდ. ირლანდია — ინგლისი | 1:0 |
| 08.10.2005 | ინგლისი — ავსტრია | 1:0 |
| 12.10.2005 | ინგლისი — პოლონეთი | 2:1 |

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| პოლონეთი | 10 | 8 | 0 | 2 | 27:9 | 24 |
| ავსტრია | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 3 | 7 | 1:21 | 3 |

# ფული, მაგრამ რა ფული?

## პროკურორმა 12 გვერდი წაიკითხა



„სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ გერმანიაში აგორებულ საფეხბურთო სკანდალებს ამ დღეებში ერთიც დაემატა: „ლევერკუზენს“ 2003 წლის სეზონში სამი თამაშის ყიდვაში ედება ბრალი.

„ერთი თამაშიც არ ჩაწყობილა“ — განაცხადა შაბათ საღამოს ლევერკუზენელთა მაშინდელმა პრეზიდენტმა რაინერ კალმუნდმა, ხოლო მისმა ადვოკატმა შტეფან ზაიტცმა ZDF-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დასძინა, რომ მის კლიენტს არათუ თამაში არ ჩაუწყვია, არც გაუგია, რომ ასეთი რამ სხვებს ჩაედინოთ.

შეგახსენებთ, რომ ეჭვი ზემოხსენებული, სავარაუდოდ ჩაწყობილი სამი თამაშის შესახებ კიოლნის მხარის პროკურატურას მას მერე გაუჩნდა, რაც კალმუნდის ფინანსურ საქმეებში ჩაიხედა.

ჟურნალ „შპიგელში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწერა, რომ პროკურმა გიუნტერ ფელდმა თავის 12 გვერდიან განცხადებაში კალმუნდს ბრალი დასდო, რომ ის თავის თანამშრომლებთან თამაშების ჩაწყობაზე ლაპარაკობდა. საუბარია აგრეთვე დაუზუსტებელ საფეხბურთო აგენტზე, რომელსაც კალმუნდისგან 580 ათასი ევრო მიუღია და ამ თანხით თამაშების ყიდვა ყოფილა გათვალისწინებული.

„ამ 580 ათას ევროს თამაშების ჩაწყობასთან აშკარად არაფერი აქვს საერთო“ — განაცხადა ზემოხსენებულ ინტერვიუში კალმუნდმა, თუმცა არც ის დაუზუსტებია რა ფული იყო ეს და რაში დაიხარჯა.

შეგახსენებთ, რომ საუბარი ეხება „მიუნხენთან“, „არმინიასთან“ და „ნიურნბერგთან“ მოგებულ თამაშებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯოხს ორი ბოლო აქვს და თუკი მატჩის ყიდვა-გაყიდვაში ბრალი ედება ერთ გუნდს, შესაბამისად ეს იმავე მატჩის მონაწილე მეორე გუნდსაც ეხება.

„გარწმუნებთ რომ „მიუნხენის“ ფეხბურთელებს გარიგებულ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ და არავისთვის არანაირი თანხა არ გამოურთმევიათ“ — თავი და ღირსება დაიცვა „მიუნხენის“ დირექტორმა დეტლეფ რომეიკომ.

და კიდევ ერთი სკანდალი: ჟურნალ „ფოკუსის“ ცნობით მიუნხენის პროკურატურა „ნიურნბერგის“ მიმდინარე სეზონის სამ თამაშს იკვლევს. ესენია თამაშები „არმინიასთან“, „ვოლფსბურგთან“ და „ვერდერთან“.

„ჩვენს გუნდს ამ გარიგებებთან საერთო არაფერი აქვს“ — ეს სიტყვები კი „ნიურნბერგის“ ვექილს კრისტოფ შიერჰარტს ეკუთვნის.

**პაპუნა ძედია**

# სკოლაში მიმავალი ჰოსპიტალში მოხვდა

**შაბათს** ხორხე ვალდანო მეხიკოს ABC-ს ჰოსპიტალში მიიყვანეს. „რეალის“ ყოფილი სპორტული დირექტორი საავადმყოფოში ვერტმფრენის ავარიის შემდეგ მოხვდა. როგორც ექიმები აცხადებენ, ვალდანოს ნეკნი აქვს გატეხილი, თუმცა არგენტინის ნაკრების ექსვარსკვლავის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.



ვერტმფრენი, რომელშიც ვალდანოს და პილოტის გარდა სხვა რამდენიმე ადამიანიც იმყოფებოდა, ლას ლომასის ქუჩაზე ჩამოვარდა. ექსრეალელი დანარჩენ 8 დაშავებულთან ერთად სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მექსიკური გაზეთების ცნობით, საბედნიეროდ, მძიმედ არავინ დაშავებულა.

ხორხე ვალდანო მეხიკოში ბავშვთა საფეხბურთო სკოლების საქმეს კურირებს და საჰაერო შემთხვევაც მაშინ მოუხდა, როცა დელეგაციასთან ერთად სკოლისკენ მიემართებოდა. მექსიკური მედია იმასაც იუწყება, რომ გამოჯანმრთელებულ ვალდანოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე TV AZTECA-ს საფეხბურთო კომენტატორის რანგში ვიხილავთ.

**ლადო ხომერიკი**

## მარსელი ციხეში მიდის



**„მარსელის“** ყოფილ მწვრთნელ როლან კურბისს ორწლიანი პატიმრობა ემუქრება. კურბისს პროკურორმა ძველი ცოდვები, ტრანსფერებთან დაკავშირებული ამბები ამოუქექა და ახლა შესაძლოა ციხეში ჩააყუდონ. ეს ტრანსფერები კი 1997-1999 წლებში განხორციელდა. პროკურორმა ორწლიანი პატიმრობის გარდა, კურბისის ფეხბურთიდან ხუთი წლით მოკვეთაც მოითხოვა, ხოლო „მარსელის“ ახლანდელი პატრონი რობერ ლუიდრეიფუსი შესაძლოა ოთხი წლით ფეხბურთს აღარ გააკარონ.

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XXIII ტური

შახტარი — არსენალი 1:0; ვოლინი — მეტალურგი (დ) 1:2; მეტალურგი (ზ) — მეტალისტი 0:0; კრივბასი — ზაკარპატია 1:0; ტავრია — სტალი 5:2; დინამო — ჩერნომორეცი 4:1; დნიპრო — ვორსკლა 0:0; ხარკოვი — ილიჩევეცი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 19 | 4 | 0 | 55:13 | 61 |
| შახტარი | 23 | 18 | 4 | 1 | 49:9 | 58 |
| ჩერნომორეცი | 23 | 10 | 5 | 8 | 30:25 | 35 |
| მეტალურგი (დ) | 23 | 9 | 7 | 7 | 27:20 | 34 |
| ილიჩევეცი | 23 | 9 | 7 | 7 | 21:24 | 34 |
| მეტალისტი | 23 | 9 | 5 | 9 | 27:30 | 32 |
| ხარკოვი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:28 | 29 |
| დნიპრო | 22 | 7 | 7 | 8 | 21:20 | 28 |
| ვორსკლა | 23 | 7 | 7 | 9 | 20:26 | 28 |
| ვოლინი | 23 | 8 | 4 | 11 | 27:37 | 28 |
| კრივბასი | 23 | 7 | 5 | 11 | 19:24 | 26 |
| ტავრია | 23 | 7 | 4 | 12 | 20:27 | 25 |
| სტალი | 22 | 6 | 7 | 9 | 19:32 | 25 |
| არსენალი | 23 | 6 | 6 | 11 | 18:29 | 24 |
| მეტალურგი (ზ) | 23 | 6 | 5 | 12 | 20:33 | 23 |
| ზაკარპატია | 23 | 3 | 6 | 14 | 14:38 | 15 |

## ჩილე

პრიმერადივიზიონი. IX ტური

რეინჯერსი — იტალიანო 3:0; ესპანიოლა — კონსეპსიონი 1:0; ლა სერენა — უაჩიპატო 1:2; ჰიგინსი — უნივერსიდად კათოლიკა 2:2; კობრესალი — კოკიმბო 2:0; პუერტო მონტი — ევერტონი 1:1; უონდერერსი — კობრელოა 3:0; უნივერსიდად დე ჩილე — პალესტინო 2:1

## ავსტრია

I დივიზიონი. XXIV ტური

ავსტრია (ლ) — ალტახი 2:1; გრატკორნი — კაპფენბერგი 1:1; კერნტენი — კუპრშტაინი 5:1; ლინცერი — ავსტრია (მ) 1:2; ლეობენი — შვანენშტადტი 2:0

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა

XXIV ტური

კონკორდია — ვილი 1:2; ლოზანა — ბადენი 3:1; მეირინი — იუვენტუსი 1:4; სიონი — ლოკარნო 2:1; ბელინცონა — ვოლენი 2:0; ლუცერნი — ვადუცი 2:1; ვინტერთური — კიასო 2:1; ლუგანო — ბოლმი 1:1

## სლოვაკეთი

I ლიგა. XXIV ტური

დუბნიცა — ტრნავა 0:2; ნიტრა — ინტერი 1:0; პუხოვი — ტრენჩინი 2:1; ჟილინა — ბანსკა ბისტრიცა 2:0; არტმედია — რუჟომბეროკი 2:0

## არგენტინა

კლაუსურა. XI ტური

სან ლორენსო — ხიმნასია 2:2; ინსტიტუტო — რასინგი 1:0; ხიმნასია (ხ) — არგ. ხუნიორსი 3:1; ლანუსი — კილმესი 2:0; ველესი — არსენალი 0:0; ესტუდიანტესი — კოლონი 1:2; ოლიმპო — ოლდ ბოისი 0:2; როსარიო — ტირო ფედერალი 3:0; ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 1:1; ინდეპენდიენტე — ბანფილდი 1:2

## დანია

I დივიზიონი. XVI ტური

ფრედერისია — ვაილე 0:1. ტურის დანარჩენი მატჩები გადაიდო

## სლოვენია

სი მობილ ლიგა. XXI ტური

პრიმორიე — მარიბორი 0:3; დრავა პტუი — ბელა კრაინა 0:1; დომზალე — ნოვა გორიცა 1:1; კოპერი — ნაფტა 2:0; პუბლიკუმი — რუდარი 4:2

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი. III ტური

დერი — სლიგო 3:1; დუბლინ სიტი — დროჰედა 0:1; სენტ პატრიკსი — შელბურნი 2:2; უოტერფორდი — დუბლინი 0:1; კორკი — ბოჰემიანსი 1:0. ბრეი — ლონგფორდი გადაიდო

## იაპონია

ჯეი ლიგა. V ტური

სერეზო — ნიიგატა 3:1; ომია — შიმიცუ 1:0; ივატა — კავაზაკი 1:2; ჰიროშიმა — გამბა 1:3; იოკოჰამა — ურავა 1:3; კოფუ — ფუკუოკა 1:1; იჩიჰარა — კაშიმა 0:1; ნაგოია — ოიტა 0:3; ტოკიო — კიოტო 2:1

## ხორვატია

ნაციონალ ლიგა

პლეი ოფი. II ტური

ჰაიდუკი — ოსიეკი 3:0; კამენი — ვარტექსი 0:1; დინამო — რიეკა 1:2

ნაციონალ ლიგა. პლეი აუტი. I ტური

ინტერი — ციბალია 4:3; მედიმურიე — სლავენი 3:4; პულა — ზაგრები 4:1

## მექსიკა

კლაუსურა

XII ტური

კრუზ ასული — ნეკაქსა 3:1; მონტერეი — გვადალახარა 1:2; ვერაკრუსი — სან ლუისი 3:0; მორელია — დორადოსი 3:3; ტეკოსი — ატლანტე 0:2; ატლასი — ტიგრესი 0:2; ტოლუკა — უნამი 2:1; ამერიკა — ხაგუარესი 1:3; პაჩუკა — სანტოსი 0:1

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XX ტური

დიორი — ტატაბანია 0:0; კაპოშვარი — ფერენცვაროში 0:0; დიოშდიორი — პეჩი 0:0; ლომბარდ პაპა — ფეჰერვარი 0:2; მტკ — შოპრონი 2:0; ვაშაში — რეაკი 2:2; ზალაეგერსეგი — ჰონვედი 0:0; უიპეშტი — დებრეცენი 2:1


რეკლამა

სარბიელ–ში

38-11-14, 877 54 55 00





**ესპანური** „რეალის“ მცველი ივან ელგერა ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. იგი უახლოეს დღეებში „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობას შეხვდება და თავის მომავალზე დაელაპარაკება. პრესაში დიდი ხანია იწერება, რომ ელგერა ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც სეზონის ბოლოს „სანტიაგო ბერნაბეუს“ დატოვებს.

**ფრანგული** „მონაკოს“ იტალიელი ფორვარდი კრისტიან ვიერი პსჟ-სთან მატჩში დაშავდა. მან მუხლის ტრავმა მიიღო, რომელიც შეიძლება საკმაოდ სერიოზული გამოდგეს. ექიმები საბოლოო დიაგნოზს დამატებითი გამოკვლევის შემდეგ დასვამენ. მონაკოელთა ასევე იტალიელ თავკაც ფრანჩესკო გვიდოლინის კრიტიკოსთა რიცხვი კი ყოველდღიურად იზრდება. ამბობენ, სეზონის ბოლოს მას პოსტზე აღარ დატოვებენო.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მცველ პაბლო იბანიესს დაადგა თვალი. 25 წლის ფეხბურთელი პრიმერადივიზიონში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლება და ლონდონელებსაც ამ პოზიციის გამაგრება სურთ. ჟოზე მაურინიუს იბანიესი ჯონ ტერის მეწყვილედ წარმოუდგენია, თუმც „ატლეტიკო“ გუნდის ერთ-ერთ ლიდერთან განშორებას არ აპირებს.

**ესპანური** „დეპორტივო“ უკვე ზაფხულის სატრანსფერო ბაზრისთვის ემზადება. კლუბის მთავარ მწვრთნელ ხოაკინ კაპაროს წამყვანი ფეხბურთელების, მათ შორის ალდო დუშერის შენარჩუნება სურს, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ უტრიალებს. „რა თქმა უნდა, ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელს დავკარგავთ და შევიძენთ კიდეც. ძალიან მინდა, დუშერის, სერხიოსა და კაპდევილას შენარჩუნება შევძლოთ. თუ ხელმძღვანელობა მაინც გადაწყვეტს ჩვენს ლიდერებთან განშორებას, მხოლოდ სათანადო თანხის სანაცვლოდ“ — თქვა კაპაროსმა.

**საფრანგეთის** ნაკრებისა და „ლიონის“ მცველი ერიკ აბიდალი ესპანური გრანდების — „ბარსელონასა“ და „რეალის“ — ყურადღების ცენტრში მოექცა. თუმცა მისი შეძენა საკმაოდ ძვირი დაჯდება, რადგანაც აბიდალი „ჟერლანის“ ბინადრებთან კონტრაქტით 2008 წლამდეა დაკავშირებული. თანაც „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ირწმუნება, მასთან განშორებას არ ვაპირებთო.

# ბაიერნს მსხვერპლი სწყურია

*ბოლოხანს „ბაიერნს“ არ ულხინს. გახსოვთ, მაგალითად, როგორ გამოვარდა მიუნხენური კლუბი ჩემპიონთა ლიგიდან? გახსოვთ ამასწინანდელი სკანდალი ბასტიან შვაინშტაიგერის სახელის შებღალვასთან დაკავშირებით? კარლ-ჰაინც რუმენიგეს ინტერვიუ კლუბის პრობლემების შესახებ „ბაიერნის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა*



**— ქმაყოფილი ბრძანდებით ბასტიან შვაინშტაიგერთან დაკავშირებით ყველაფერს ფარდა რომ აეხადა?**

— როგორც კი ავად მოსაგონარი სტატიის სათაური დავინახე, მივხვდი, რომ ის გულში მძიმე ნალექს დატოვებდა. სწორედ ამიტომ ვართ კატეგორიულები გაზეთის მიმართ და მიგვაჩნია, რომ ერთი ხნის შემდეგ გამოქვეყნებული უარმყოფელი წერილი და ოფიციალური ბოდიში მინიმუმი იყო, რაც „თაგეს ცაიტუნგს“ შეეძლო გაეკეთებინა.

**— მომავალში რაღას აპირებთ?**

— „თაგეს ცაიტუნგის“ ხელმძღვანელობა და პირადად დირექტორი იპენი ტყავიდან ძვრებიან რათა სკანდალი ჩაფარცხონ, მაგრამ საკითხი არ ამოწურულა. გაზეთს მორალური ზარალის ანაზღაურება მოუწევს. აქვე დავძენ, რომ ჩვენ ამ ისტორიაზე გამდიდრებას არ ვაპირებთ და თანხას, რომელსაც „თაგეს ცაიტუნგს“ გადავახდევინებთ ჩვენს საქველმოქმედო ფონდში გადავრიცხავთ, უფრო ზუსტად კი ფული შრი ლანკას პროექტს მოხმარდება. ხოლო იმას, რომ დღეს ჩვენი ოფისის კარი „თაგეს ცაიტუნგისთვის“ დახურულია, თქმა არ უნდა.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ცოტაღა დარჩა, ამგვარი ისტორიები კი ფერებს ამუქებენ.**

— მდგომარეობა მართლაც უსიამოვნოა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრესა-ტელევიზია მსოფლიოს ჩემპიონატზე საერთოდ არ ფიქრობს და მხოლოდ ჩვენი გაშავებით არის დაკავებული. თემები, რომლებიც გერმანულ გაზეთებში ტრიალებს ერთი და იგივეა: სად უნდა ცხოვრობდეს კლინსმანი, ბილეთების გასაღებაში პრობლემებია, სტადიონებზე უსაფრთხოება საკმარისი არ არის, შვაინშტაიგერი და ფსონები და სხვა. არავინ წერს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად ამ უდიდესი შეჯიბრებისადმი ინტერესი საოცრად ჩქარა იზრდება, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც გაუმართლა იყოს მუნდიალის მასპინძელი.

**— სებასტიან დაისლერი კი ისევე, როგორც ოთხი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს.**

— ეს ნამდვილი კატასტროფაა. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ბასტიანი კიდევ ერთხელ დავაბრუნოთ ფეხბურთში და არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ მასთან ახლახან გავაგრძელეთ კონტრაქტი, არამედ იმიტომ, რომ ის კარგი ადამიანი და კარგი ფეხბურთელია. დაისლერი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა და ამ უძნელეს პერიოდს მასთან ერთად გავივლით. ექიმები ამბობნე, რომ დაახლოებით აგვისტოში ან სექტემბერში ის გამოკეთდება. იმედი მაქვს, რომ მართლაც ასე მოხდება.

**— „ბაიერნმა“ კი შვაინშტაიგერთან და დაისლერთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად „შალკესთან“ პრინციპულ მატჩში გაიმარჯვა. როგორ აფასებთ ამ წარმატებას?**

— „მილანთან“ და „ჰამბურგთან“ დამარცხებების შემდეგ ფსიქოლოგიური კრიზისი რომ გვქონდა, ამის დამალვას აზრი არ აქვს და ამიტომაც გახლდათ „შალკესთან“ გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი.

**— მწვრთნელი ფელიქს მაგათი ამბობს, რომ ახლა გუნდი კვლავ დარწმუნებულია საკუთარ თავში და წესით ბუნდესლიგის ჩემპიონობა პრობლემა აღარ უნდა იყოს.**

— ზემოთ ორი დამარცხება რომ ვახსენე, მათ მერე რეპუტაციის აღდგენა გვჭირდება. ვფიქრობ, ამ მიმართულებით პირველი სწორი ნაბიჯები უკვე გადავდგით, მაგრამ დროზე ადრე დამშვიდებაც არ შეიძლება. „კიოლნთან“ და „ვერდერთან“ აუცილებლად ექვსი ქულა უნდა მოვიპოვოთ. მომავალ ტურში ჩვენი მთავარი კონკურენტები „შალკე“ და „ჰამბურგი“ ერთმანეთს ხვდებიან და რომელიმე მათგანი ქულებს დაკარგავს. ამ მდგომარეობით აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ „ჰამბურგი“, „შალკე“ და „ვერდერი“ კვლავ „ბაიერნის“ კონკურენტები არიან?**

— მათ ჩვენი კონკურენტობა გაუჭირდებათ, მაგრამ მოდუნება დამღუპველია.

**— „სან სიროზე“ დამარცხებიდან სამი კვირა გავიდა. რას იტყვით იმ მატჩის შესახებ დღეს?**

— ლიგიდან იმიტომ კი არ გამოვვარდით, რომ გუნდურად ვითამაშეთ ცუდად, არამედ იმიტომ, რომ უამრავი ინდივიდუალური შეცდომა დავუშვით. ისეთი ვარსკვლავები შევჩენკო, კაკა და ინძაგი რომ არიან ამისთვის აუცილებლად დაგსჯიან. ერთი სიტყვით, მილანში ნამდვილი „ბაიერნი“ არ იყო და კარგი გაკვეთილი მივიღეთ. თუ გახსოვთ, ჯგუფურ ეტაპზე „იუვენტუსთან“ ვითამაშეთ ძალიან კარგად. ძალიან კარგად ვითამაშეთ „მილანთან“ პირველი მატჩის პირველ ტაიმშიც და ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი ნამდვილი სახე სადღაც ამ თამაშებს შორისაა.

**— ინდივიდუალური შეცდომების გამო დამარცხდით შარშან „ჩელსისთანაც“. რა ხდება?**

— კონცენტრაცია და მოტივაცია არაფერ შუაში უნდა იყოს. არც კლასში განსხვავება მგონია მიზეზი, რადგან პლეი-ოფში გასული გუნდები თანაბარი კლასისანი არიან. აქ მთავარი ისაა, რაც ჩვენ 2001 წელს შევძელით — ყოველი კონკრეტული თამაშისთვის საუკეთესოდ მომზადება და თავდაუზოგავი ბრძოლა. განა მაშინდელი გუნდი დღევანდელს სჯობდა? არა, მაგრამ მსხვერპლგაღება იყო მეტი. ვიხსენებ იერემისს, შოლსა და ელბერს, რომელთაც საოპერაციო მაგიდიდან პირდაპირ დიდ მატჩებში მოუხდათ მონაწილეობა და მათ, გამარჯვების გამო, კარიერა დააყენეს რისკის ქვეშ.

**— რა უნდა მოიმოქმედოთ საიმისოდ, რომ მომავალ სეზონში იგივე არ გამეორდეს?**

— გულწრფელად გეტყვით: თუ „ჩელსი“, „მილანი“ ან „ბარსელონა“ შეგვხვდება, ფავორიტად მას მონათლავენ, რაც ძალიან გვაწყობს. საერთოდ არ მიყვარს, როდესაც ვინმესთან შეხვედრის წინ ამბობენ, რომ ფავორიტები ჩვენ ვართ. ჰოდა, თუ იმ მომენტისთვის სხვადასხვა ასპექტებიც ჩვენს სასარგებლოდ გამოვა, მაშინ მართლა გავიმარჯვებთ.

**— ევროპულ ასპარეზზე ჩავარდნის შემდეგ გერმანული სასალათე და თასი უფრო მნიშვნელოვანი გახდა?**

— ლიგიდან გავვარდით და, ამიტომ, ახალა დარჩენილი ორი შეჯიბრებაა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი. ზედიზედ ორ სეზონში დუბლის მოპოვება ჯერ არავის მოუხერხებია და თუ ჩვენ მოვახერხებთ, ვიტყვით, რომ წარმატებული სეზონი გვქონდა.

**— ლიგიდან გავარდნის შემდეგ თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ ამან შესაძლოა საკადრო ცვლილებებამდე მიგიყვანოთ.**

— „მილანთან“ დამარცხებიდან ცოტა ხნის შემდეგ მაგათთან და რამდენიმე მოთამაშესთან ერთად დავასკვენით, რომ გუნდი მეორე შანსს მაინც იმსახურებს. მოკლედ, ფეხბურთელებს ბუნდესლიგაში შეუძლიათ დაამტკიცონ თავიანთი შესაძლებლობები. ცხადია, ზაფხულზე სატრანსფერო ბაზარზე ვიაქტიურებთ, მაგრამ ამას ისედაც ყოველ წელიწადს ვაკეთებთ. სავარაუდოდ ოთხ-ხუთ ახალ მოთამაშეს შევიძენთ.

**— რა პოზიციები გაქვთ გასაძლიერებელი?**

— ყველა. ერთი ეგაა, რომ სისულელეების ჩადენას, მაგალითად ერთ მოთამაშეში 50 მილიონი ევროს გადახდას არ ვაპირებთ.

**— კეთილი, მაგრამ 19 მილიონ ევროს თუ გადაიხდით, როი მაკაიში რომ ჰქონდა გადახდილი და დღეისათვის „ბაიერნის“ ყველაზე დიდ ხარჯად რომ ითვლება?**

— თუ ამის აუცილებლობა იქნება, დიახ. 20 მილიონი ევრო ის თანხაა, რომლის გაღებაც შეგვიძლია.

**— თქვენი ინტერესების გეოგრაფიაზე რაღას გვეტყვით, ახლების ყიდვას გერმანიაში აპირებთ თუ საზღვარგარეთაც დაიწყებთ ძებნას?**

— ორივეგან. თუ ნიჭიერ კაცს გერმანიაში ვიპოვით, შევეცდებით შევიძინოთ და ზუსტად ასევე მოვიქცევით თუ საზღვარგარეთ მოვნახავთ ვინმეს.

**— მარკ ვან ბომელი თქვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს?**

— ჩვენ ეს ფეხბურთელი მოგვწონს. ის ტიპიური ათი ნომერი ანუ გამთამაშებელია, ნახევარდაცვაში ძალიან ძლიერად თამაშობს. კარგად მახსოვს რა საუცხოოდ ითამაშა მან გასულ სეზონში „მილანის“ წინააღმდეგ. ჩვენ გვჭირდება ძლიერი ფეხბურთელი, იმავდროულად ბუნებით ლიდერიც რომ იყოს.

**— ვან ბომელის შესახებ „ბარსელონას“ უკვე ელაპარაკეთ?**

— ვან ბომელს „ბარსელონასთან“ 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი და თან ძირითადში არ აქვს ადგილი გარანტირებული. ვფიქრობ მას თავისი დღევანდელი მდგომარეობა არ უნდა მოსწონდეს და ამიტომაც ვაპირებთ როგორც მის აგენტთან, ასევე „ბარსელონას“ წარმომადგენლებთან შეხვედრას და მოლაპარაკებას.

**— მის გარდა ვინ მიგაჩნიათ მიხაელ ბალაკის ალტერნატივად?**

— „ვერდერში“ მოთამაშე ტიმ ბოროვსკი. მართალია მას ბევრი გოლი არ გააქვს, მაგრამ ბევრ საგოლე პასს აწვდის. ოღონდ ერთია, მის შესაძენად ჯერ თითი თითზე არ დაგვიდია, ზაფხულში კი ტრადიციულად გავაქტიურდებით.

**— „ალიანს არენას“ თანამეპატრონე, „მიუნხენი“ შეიძლება ობერლიგაში გავარდეს. თუ ასე მოხდება, ცხადია ის ფინანსურადაც ცუდ დღეში ჩავარდება. ეს ხომ არ შეუშლის ხელს თქვენს სატრანსფერო აქტიურობას?**

— ჯერ ერთი, მოდით „მიუნხენის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ნაჩქარევად ნუ ვილაპარაკებთ და მეორეც, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენს სატრანსფერო აქტიურობას ვერაფერი შეანელებს.

**— ამასწინათ განაცხადეთ, რომ მოთამაშეთა პრემირების სისტემას უნდა გადახედოთ. რას გულისხმობდით?**

— ამ სეზონში ყველა მოთამაშე ერთნაირ პრემიას იღებს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ბევრი რამ ხომ ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალურ ოსტატობაზეა დამოკიდებული. იცით, იტალიაში როგორ არის? პრემიებს ყოველი თამაშის მერე კი არ გასცემენ, არამედ სეზონის ბოლოს. ვთქვათ, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდება ამას წარუმატებლობად ჩათვლიან და პრემიას არავის მისცემენ. მერედა, ზოგი ფეხბურთელი სათადარიგოა, ზოგი საერთოდ განაცხადში ვერ ხვდება. მათ უნდა ჰქონდეთ თერთმეტ კაცში მოხვედრის სტიმული.



რუმენიგე და მაგათი

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 2 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.33 | 4.50 | 8.50 | 1.02 | 1.15 | 2.94 |
| 23:00 | 3 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 0:11.85 | 3.50 | 3.10 | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 4 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 15:45 | 6 | ბირმინგემი-ჩელსი | 6.50 | 4.20 | 1.40 | 2.55 | 1.15 | 1.04 |
| 18:00 | 9 | ბოლტონი-მანჩესტერი | 3.55 | 3.10 | 2.00 | 1.65 | 1.27 | 1.21 |
| 18:00 | 11 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 18:00 | 13 | ფულემი-პორტსმუთი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 14 | სიტი-მიდლსბრო | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 18:00 | 15 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 20:15 | 16 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 18 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 23:00 | 8 | ბლექბერნი-უიგანი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:50 | 570 | ბარნლი-საუთჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 22:50 | 571 | პრესტონი-ქრიუ | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 19 | ქპრ-სტოკი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 32 | დონსი-ბრენტფორდი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 44 | როჩდეილი-ბარნეტი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 22:45 | 568 | კარლაილი-ლინკოლნი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 45 | ბოსტონი-ჩესტერი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 57 | დაგ ენდ რედი-ქროული | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:45 | 58 | ჰალიფაქსი-უოკინგი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 22:45 | 59 | კიდერმინსტერი-გრეისი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:45 | 60 | ტემუორთი-ექსეტერი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 75 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 77 | ინვერნესი-აბერდინი | 2.25 | 2.90 | 2.90 | 1.26 | 1.26 | 1.45 |
| 18:00 | 78 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 73 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 5.20 | 3.60 | 1.55 | 2.12 | 1.19 | 1.08 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 569 | ჰამილტონი-სტრანრარი | 1.80 | 3.30 | 3.70 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 83 | ალოა-სტირლინგი | 3.10 | 3.60 | 1.95 | 1.66 | 1.19 | 1.26 |
| 22:30 | 85 | მორტონი-დამბარტონი | 1.45 | 4.00 | 5.20 | 1.06 | 1.13 | 2.26 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 90 | კოუდენბითი-ელგინი | 1.50 | 4.10 | 4.90 | 1.09 | 1.14 | 2.23 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-კიოლნი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:30 | 98 | აინტრახტი-ვერდერი | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 17:30 | 99 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 17:30 | 100 | ლევერკუზენი-ლაუტერნი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 17:30 | 101 | გლადბახი-დორტმუნდი | 2.35 | 3.00 | 2.85 | 1.31 | 1.28 | 1.46 |
| 17:30 | 102 | ნიურნბერგი-მაინცი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 17:30 | 103 | ვოლფსბურგი-დუისბურგი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 104 | ჰანოვერი-არმინია | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:30 | 105 | შალკე-ჰამბურგი | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 107 | ბრაუნშვაიგი-ჰანზა | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 20:00 | 108 | ბურგჰაუზენი-მიუნხენი 1860 | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 20:00 | 109 | ოფენბახი-დინამო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 110 | ზაარბრიუკენი-ალემანია | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 20:00 | 111 | ზიგენი-ალენი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 121 | ჰერტა(მ)-ვატენშეიდი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:30 | 122 | კილი-ჯენა | 2.15 | 3.10 | 2.85 | 1.26 | 1.22 | 1.48 |
| 21:30 | 123 | ოსნაბრიუკი-ქემნიცი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 21:30 | 124 | ერფურტი-ლიუბეკი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 21:30 | 125 | ზტ.პაული-ვუპერტალი | 1.55 | 3.50 | 4.50 | 1.07 | 1.15 | 1.96 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19:15 | 126 | ჰამბურგი(მ)-ობერჰაუზენი | 2.10 | 3.20 | 2.85 | 1.26 | 1.20 | 1.50 |
| 21:30 | 127 | კიოლნი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 19:15 | 128 | ვერდერი(მ)-დიუსელდორფი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 138 | ბაიერნი(მ)-ვეენი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 21:00 | 139 | ფულენდორფი-ელვერსბერგი | 2.65 | 3.20 | 2.20 | 1.44 | 1.20 | 1.30 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 149 | რაპიდი-ადმირა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:30 | 151 | რიდი-გრაცერი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 158 | ალტახი-შვანენშტადტი | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 21:00 | 159 | გრატკორნი-ლინცერი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 21:00 | 160 | კაფენბერგი-აუსტრია(მ) | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 21:00 | 161 | კერნტენი-აუსტრია(ლ) | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20:45 | 168 | აარაუ-ქსამაქსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 20:45 | 169 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.55 | 3.00 | 2.55 | 1.37 | 1.27 | 1.37 |
| 20:45 | 170 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 20:45 | 171 | ივერდონი-შაფჰაუზენი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 178 | ბადენი-მეირინი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:30 | 179 | ბოლმი-კონკორდია | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 180 | იუვენტუსი-ბელინცონა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 21:30 | 181 | კრინსი-ვილი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 21:30 | 182 | ლოზანა-სიონი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:30 | 183 | ვადუცი-ვინტერთური | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:30 | 184 | ვოლენი-ლუცერნი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 194 | ლეჩე-მილანი | 6.00 | 3.60 | 1.50 | 2.25 | 1.20 | 1.05 |
| 20:00 | 196 | ტრევიზო-იუვენტუსი | 7.50 | 4.30 | 1.35 | 2.73 | 1.14 | 1.02 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 198 | ინტერი-მესინა | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 200 | კიევო-ლივორნო | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| 17:00 | 201 | ფიორენტინა-რომა | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 17:00 | 202 | ლაციო-ემპოლი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 17:00 | 203 | პალერმო-ასკოლი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 17:00 | 204 | რეჯინა-სიენა | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 17:00 | 205 | სამპდორია-კალიარი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 17:00 | 206 | უდინეზე-პარმა | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 240 | ბარსელონა-რეალი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 22:00 | 245 | სოსიედადი-მალაგა | 1.90 | 3.10 | 3.85 | 1.17 | 1.27 | 1.71 |
| 22:00 | 248 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 238 | ალავესი-ბილბაო | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 21:00 | 239 | ატლეტიკო-სელტა | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 23:45 | 241 | ბეტისი-სევილია | 2.60 | 2.90 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| 19:00 | 242 | დეპორტივო-რასინგი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 243 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 244 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 19:00 | 246 | ვალენსია-კადისი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 15:30 | 358 | ერჯიესი-კაისერი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 15:30 | 359 | გენჩლერბირლიგი-ანკარა | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 15:30 | 361 | სამსუნი-რიზე | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 15:30 | 362 | სივასპორი-გაზიანთეფი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| 15:30 | 363 | მანისა-მალათია | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| 17:30 | 364 | დენიზლი-ბეშიქთაში | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 21:00 | 366 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ | 1.20 | 5.80 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.67 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 367 | ტრაბზონი-კონია | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 21:00 | 368 | დიარბაქირი-ფენერბაჩე | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 401 | პრჟიბრამი-იაბლონეცი | 2.25 | 2.90 | 3.00 | 1.26 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 402 | იპლავა-სპარტა | 5.50 | 3.60 | 1.50 | 2.17 | 1.17 | 1.05 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 432 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 21:00 | 433 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 21:00 | 435 | ჰორსენსი-ესბიერგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:00 | 436 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 21:00 | 437 | სილკებორგი-ორჰუსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:00 | 438 | სიონდერიისკე-მიდტიულანდი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 454 | გაის-იორგრიტე | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 455 | აიკ-გეფლე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 457 | გიოტებორგი-იოსტერსი | 1.40 | 3.80 | 6.00 | 1.02 | 1.13 | 2.32 |
| 21:00 | 459 | მალმიო-ჰეკენი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 529 | არსენალი-იუვენტუსი | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| 22:45 | 530 | ბენფიკა-ბარსელონა | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 532 | ლიონი-მილანი | 2.45 | 3.00 | 2.95 | 1.34 | 1.33 | 1.48 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 533 | ბაზელი-მიდლსბრო | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 534 | ლევსკი-შალკე | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 21:30 | 535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 2.35 | 3.10 | 2.95 | 1.33 | 1.30 | 1.51 |
| 23:00 | 536 | სევილია-ზენიტი | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.65 | 2.40 | 7.00 | 1.00 | 1.33 | 1.78 |
| 10529 | არსენალი-იუვენტუსი | 2.90 | 2.00 | 3.20 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10530 | ბენფიკა-ბარსელონა | 4.40 | 2.00 | 2.25 | 1.37 | 1.48 | 1.05 |
| 10531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.90 | 2.20 | 5.50 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10532 | ლიონი-მილანი | 2.95 | 2.00 | 3.25 | 1.19 | 1.54 | 1.23 |
| 10533 | ბაზელი-მიდლსბრო | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10534 | ლევსკი-შალკე | 3.40 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.48 | 1.13 |
| 10535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10536 | სევილია-ზენიტი | 2.05 | 2.10 | 4.80 | 1.03 | 1.43 | 1.46 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 12.00 |
| 11529 | არსენალი-იუვენტუსი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11530 | ბენფიკა-ბარსელონა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.80 |
| 11531 | ინტერი-ვილიარეალი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 8.00 | 8.00 |
| 11532 | ლიონი-მილანი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.20 |
| 11533 | ბაზელი-მიდლსბრო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11534 | ლევსკი-შალკე | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11536 | სევილია-ზენიტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 2.00 | 1.60 |
| 12529 | არსენალი-იუვენტუსი | 1.60 | 2.00 |
| 12530 | ბენფიკა-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.60 | 2.00 |
| 12532 | ლიონი-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12533 | ბაზელი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12534 | ლევსკი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 12536 | სევილია-ზენიტი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.90 | 1.70 |
| 13529 | არსენალი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13530 | ბენფიკა-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 13531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13532 | ლიონი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13533 | ბაზელი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13534 | ლევსკი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13536 | სევილია-ზენიტი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.15 | 2.60 |
| 14529 | არსენალი-იუვენტუსი | 1.80 | 1.80 |
| 14530 | ბენფიკა-ბარსელონა | 2.40 | 1.55 |
| 14531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.30 | 2.50 |
| 14532 | ლიონი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 14533 | ბაზელი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14534 | ლევსკი-შალკე | 2.00 | 1.75 |
| 14535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 14536 | სევილია-ზენიტი | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15529 | არსენალი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | ბენფიკა-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15531 | ინტერი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15532 | ლიონი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15533 | ბაზელი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15534 | ლევსკი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | სევილია-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.10 | 4.70 |
| 16529 | არსენალი-იუვენტუსი | 1.65 | 1.90 |
| 16530 | ბენფიკა-ბარსელონა | 2.60 | 1.30 |
| 16531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.15 | 3.80 |
| 16532 | ლიონი-მილანი | 1.60 | 1.90 |
| 16533 | ბაზელი-მიდლსბრო | 1.50 | 2.20 |
| 16534 | ლევსკი-შალკე | 2.00 | 1.60 |
| 16535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 1.60 | 1.90 |
| 16536 | სევილია-ზენიტი | 1.12 | 3.80 |

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17529 | არსენალი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17530 | ბენფიკა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17532 | ლიონი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17533 | ბაზელი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17534 | ლევსკი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17536 | სევილია-ზენიტი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18529 | არსენალი-იუვენტუსი | 2.20 | 1.55 |
| 18530 | ბენფიკა-ბარსელონა | 4.30 | 1.16 |
| 18531 | ინტერი-ვილიარეალი | 1.40 | 2.60 |
| 18532 | ლიონი-მილანი | 2.10 | 1.60 |
| 18533 | ბაზელი-მიდლსბრო | 2.35 | 1.45 |
| 18534 | ლევსკი-შალკე | 3.30 | 1.25 |
| 18535 | რაპიდი(ბ)-სტიაუა | 2.00 | 1.65 |
| 18536 | სევილია-ზენიტი | 1.55 | 2.25 |

# რაც არ გინახავთ, იმას ნახავთ
# ყინულის ნალები ილია ავერბუხისგან

*გაზაფხულის ბოლოს თბილისს ფიგურული სრიალის მსოფლიო ვარსკვლავები ესტუმრებიან და ქართველი მაყურებლისთვის გრანდიოზულ სანახაობას მოაწყობენ. 4 მაისს სპორტის სასახლეში ფიგურისტთა შოუ „იტალიური კარნავალი“ გაიმართება. საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობა უკვე დაწყებულია. შოუს მთავარი ორგანიზატორი კი 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი ილია ავერბუხია*





ილია ავერბუხმა აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ შოუმენობას მიჰყო ხელი და სახელი ამ საქმითაც არანაკლებ გაითქვა. ტურინის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ უკვე მოასწრო ერთი დიდი შოუს მოსკოვში გამართვა და მასში სხვა ვარსკვლავებთან ერთად ელენე გედევანიშვილიც ჩართო. სპორტის სასახლის ყინულზე კი სხვა ქართველებიც გავლენ.

ავერბუხი თბილისს გუშინწინ, გვიან ღამით, შოუს სამ პიარ-მენეჯერთან ერთად ეწვია და გუშინ შუადღეს უკანვე, რუსეთში გაფრინდა. ამ შუალედში საქმიანი შეხვედრებიც მოასწრო და ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, მინისტრ გოკა გაბაშვილთან პირადი საუბრის შემდეგ სპეციალური პრესკონფერენცია მოეწყო, რომელზეც გაბაშვილისა და ავერბუხის გარდა, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ემზარ ზენაიშვილი, ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე და თბილისის პრემიერი თემურ ქურხულიც გამოცხადდნენ.

პირველი სიტყვა მინისტრის იყო: გაბაშვილმა გრანდიოზული სანახაობის დამატებით პლუსებზე თქვა, მსოფლიო დონის ფიგურისტების თბილისში ხილვა უპირველეს ყოვლისა მომავალი თაობისთვის იქნება დამატებითი სტიმული და სპორტის ამ ულამაზეს სახეობას სულ უფრო მეტი ბავშვი დაეუფლებაო. ყველაზე სიტყვაუხვი კი შოუს მთავარი ორგანიზატორი იყო.

ილია ავერბუხი: „4 მაისს თბილისში ისეთ სანახაობას გპირდებით, ცოცხლად ჯერ რომ არასოდეს გინახავთ. შოუ სარვამარტოდ მოსკოვში მოვაწყვეთ და ბრწყინვალე გამოვიდა. გადავწყვიტეთ ეს პროგრამა რაც შეიძლება მეტ ქალაქში ჩავატაროთ. კავკასიური პრემიერა თბილისში შედგება, მერე კი ალბათ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც ჩავალთ.

...თბილისის შოუს ნელ-ნელა ტრადიციულ სახეს მივცემთ. მსოფლიოს ჩემპიონატების შემდგომ პერიოდს ავირჩევთ და იმედია დიდი შოუების კალენდარშიც ჩავსვამთ. უკვე მაისის შემდგომ უახლოეს შოუზეც შეიძლება მცირე კომენტარის გაკეთება. სავარაუდოდ დეკემბერში გაიმართება და მასში ალბათ მონაწილეობას ორი უდიდესი ფიგურისტი: ევგენი პლიუშენკო და ირინა სლუცკაიაც მიიღებენ. ამათი ჩამოყვანა სამაისოდაც გვინდოდა, მაგრამ იმავე პერიოდში ანალოგიურ შოუზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსვლა უკვე გადაწყვეტილი აქვთ.

...„იტალიური კარნავალი“ — ასე ერქმევა შოუს. რატომ იტალიური? ტურინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იმხელა ემოციური მუხტი დარჩა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მოვქცეულიყავით. მსოფლიო ვარსკვლავების გამოსვლებით შეკრული შოუ-წარმოდგენა უმეტესწილად იტალიურ მუსიკაზე იქნება აწყობილი. მე კი კონფერანსიე ვიქნები, თუმც ბოლო ნომერში მონაწილეობას თავადაც მივიღებ.

...ჩემი ვიზიტი ამ ეტაპზე მხოლოდ ერთდღიანია, თუმც თბილისში შოუს სამი პიარ-მენეჯერი დარჩება და სწორედ ისინი დაკავდებიან საორგანიზაციო საკითხების მოგვარებით, რაღა თქმა უნდა, ქართულ მხარესთან ერთად. აქ პირველად შარშან ჩამოვედი, ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით და სიმართლე გითხრათ, მაშინვე გადავწყვიტე, სანახაობა ჩამომეტანა. საქართველოთი აღფრთოვანებული ვარ. მადლობა ყველას. განსაკუთრებით კი ირაკლი ჯაფარიძეს, რომელიც ქართული ფიგურული სრიალის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს.

...შოუში მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ცეკვებში ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ტატიანა ნავკა და რომან კოსტომაროვი, 2002 წლის ოლიმპიური ჩემპიონები ალექსეი იაგუდინი, ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე და სხვა კაშკაშა ვარსკვლავები. ყინულზე სპეციალური სტუმრების სტატუსით გავლენ ელენე გედევანიშვილი, ვახტანგ მურვანიძე და ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ბრაიან ჟუბერი. ასევე პირველი ქართული მოცეკვავე წყვილი ოთარ ჯაფარიძე და ეკატერინა ზაიკინა. პირადი მოწვევით უამრავი სახელიანი სტუმარიც ჩამოვა, თუმც სიას ჯერ ვერ გაგიმხელთ, რადგან ბოლომდე დაზუსტებული არაა.“

*„იტალიური კარნავალისთვის“ სპორტის სასახლეში ყინულს მოსკოვიდან ჩამოიტანენ. მისი ტრანსპორტირება დიდ თანხებთან ყოფილა დაკავშირებული და შოუზე დასასწრები ბილეთებს ფასიც საკმაოდ ძვირია — 10-დან 45 ლარამდე. კულუარული ინფორმაციით, თუ 4 მაისის შოუმ წარმატებით ჩაიარა, შესაძლოა მეორე დღეც დაამატონ. რუსი პიარ-მენეჯერები თბილისში ავერბუხთან ერთად კი ჩამოვიდნენ, მაგრამ უკან აღარ გაჰყოლიან. 4 მაისამდე აქ დარჩებიან და პიარ-კამპანიას გააჩაღებენ. სარეკლამო კლიპები უკვე დამზადებული ჰქონიათ და ალბათ სამგალითოდაც გააპიარებენ.*

**ოთარ მაღლაკელიძე**


თბილისში ალბათ მსოფლიოს ახალ ჩემპიონს ბრაიან ჟუბერსაც ვიხილავთ



სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

27 მარტი. ვერის ბაღი

**ავიამშენი 64:59 აზოტი**

*18:10 21:23 11:16 14:10*

ავიამშენი: ნიკოლაძე (10), ტულუში (19), მარკოიშვილი (5), ორმოცაძე (7), როდუმტა (10); ხოშტარია (6), ბ. ბერიშვილი (4), მინაშვილი (3)
აზოტი: ჟლენტი, გოგობერიშვილი (6), ჭოჭუა, ტუჯანი (11), ბაბიაშვილი (16); ბოისა (10), იმნაძე (10), ჩაჩუა (3), არწივიძე (3), ლიპარტელიანი, ცეკვავა
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სტუ 95:65 სსუ**

*21:17 29:22 29:16 16:10*

სტუ: კვიმსაძე (7), ქისტაური (8), მიქაძე, ლ. შანიძე (14), მათიაშვილი (14); ახალკაცი (13), ლოსაბერიძე (12), კეიდია (8), ნინუა (7), ხეცურიანი (7), ბერბიჭაშვილი (5)
სსუ: პატარაია (5), ჯიქია, ი. ჯგენერაია (14), ლ. ჯგენერაია (8), ლ. ნოზაძე (18); მოდებაძე (11), ონიკაშაილი (7), გასიტაშვილი (2), ცერცვაძე, ანთაძე
მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**თსუ-ნიკორა 108:83 დინამო**

*25:16 20:29 39:13 24:25*

თსუ-ნიკორა: ი. ბერიშვილი (22), ლეჟავა (6), კეშელავა (5), ტყეშელაშვილი (2), ბეჟანიშვილი (18); ფანჩულიძე (26), ი. მაისურაძე (18), დიდია (5), მუშკუდიანი (4), ვეფხვაძე (2)
დინამო: გულისაბედაშვილი (8), სიგუა (1), ლაფანაშვილი (2), დერიუგინი (2), სუხიშვილი (9); დევიძე (17), წივწივაძე (16), ვ. მაისურაძე (12), ძიძიგური (9), გვიმრაძე (7), წერეთელი
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 24 | 20 | 4 | +308 | 44 |
| ავიამშენი | 24 | 20 | 4 | +460 | 44 |
| სტუ | 24 | 16 | 8 | +136 | 40 |
| აზოტი | 24 | 16 | 8 | +342 | 40 |
| დინამო | 24 | 10 | 14 | +29 | 34 |
| მაკაბი | 23 | 7 | 16 | -356 | 30 |
| ქუთაისი | 23 | 4 | 19 | -268 | 26 |
| სსუ | 24 | 2 | 22 | -641 | 26 |

*ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

ქუთაისი 28 მარტი

**ქუთაისი — მაკაბი 14:30**

### ჩაიცხრეთ საპლეიოფო ვნებები
# არავინ არავის არაფერს არ აძლევს

**მოახლოვდა** პლეი ოფი და ვერის ბაღის დარბაზშიც ხშირად მოისმენთ ასეთ ლაპარაკს: „ავიამშენს" პირველი ადგილი აწყობს, „აზოტს" რომ ასცდეს ნახევარფინალში, რუსთაველებს კი დღეს წაგებაც აძლევდათ ხელს, რადგან ბოლო ტურში სტუ-ს ხვდებიან და საპლეიოფო მეტოქეს თავად აირჩევენო. კალათბურთის გულშემატკივრები საპლეიოფო ვარიანტებს თვლიან და ცდილობენ, გუნდების ფარულ ზრახვებს ჩასწვდნენ.

გუშინდელი დღის მთავარი ჯაზი რომ დამთავრდა, „თსუ-ნიკორას" მწვრთნელ დავით უსტიაშვილს გამოველაპარაკე, რომელმაც ალალად თქვა, მე არ მაინტერესებს, ვინ რომელზე გავა, პირველი ადგილისთვის ვიბრძვი, ყველა თამაშში მოსაგებად გავალ მოედანზეო.

ერთი სიტყვით, თსუ-ს პირველობა უნდა და საამისოდ გუშინ მორიგი ნაბიჯიც გადადგა — „დინამო" დაამარცხა. ასევე გაიმარჯვა ნიკორელების მთავარმა კონკურენტმა „ავიამშენმა", თუმც არაერთ გულშემატკივარს ეჭვის ჭია მაინც შეუჩნდა, „აზოტმა" განზრახ ხომ არ წააგოო.

ვისაც ასეთი ეჭვი დაებადა, ეტყობა, წესიერად ვერ უყურა მატჩის ენდშპილს. რუსთაველები შესაძლებლობის მაქსიმუმს იღებდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, მაგრამ საოცრად მობილიზებული ავიატორების გატეხვა მაინც ვერ მოახერხეს.

ესეც რომ არა, „აზოტი" თამაშის განზრახ დამთმობი არ იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ავიამშენთან" ბოლო შეხვედრისას საშინლად დაიჩაგრა და რეპუტაციის აღდგენა რომ არ სდომებოდა, ძნელად სავარაუდოა.

ასე იყო თუ ისე, მატჩი საინტერესო და მეტად დაძაბული გამოვიდა. სანახაობრივი მხარისა კი რა მოგახსენოთ, შეცდომები ბლომად იყო, რაც გვალვიან ანგარიშზეც აისახა.

თამაში ცოტა უცნაურად დაიწყო. ჯერ თითქოს ერთმა გუნდმა მოიგდო მატჩის სადავეები, თუმც უმალ მეორემ აიშვა და გვარიანი ლიდერობაც მოიპოვა. რუსთაველებმა თავიდანვე ფარქვეშ გამაგრება მოიწადინეს და ჟოლივეტ ტუჯანის მიჯრით მოხვეჭილ 4 ქულას თუ გავითვალისწინებთ, ეს თითქოს გამოუვიდათ, მაგრამ... კამერუნელ ფორვარდს გამოცდილი ამროსი ორმოცაძე აედევნა და ტუჯანისთან ერთად რუსთაველთა ფარქვეშ აქტიურობაც განეიტრალდა.

ტუჯანის მეწყვილე ზვიად ბაბიაშვილიც ჩაიკარგა მოედანზე. მას ავიატორთა კამერუნელმა ცენტრმა შეუბორკა ხელები, ხოლო თავად პლასიდე როდუმტა კი ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი გახდა.

0:6-ზე „ავიამშენმა" ტაიფუნი მოუწყო რუსთაველებს და 16:0 მოგებული ხუთწუთეულის შემდეგ სერიოზული ჰანდიკაპი მოიხელთა. მექულეობა როდუმტამ და კოტე ტულუშმა იკისრეს, რომლებსაც ხელი გიორგი მარკოიშვილმა და ამროსი ორმოცაძემაც წააშველეს.

მეორე მეოთხედი თბილისელთა რვაქულიანი უპირატესობით განახლდა, თუმც ანგარიშმა ნელ-ნელა ლლობა იწყო. როცა მოედანზე გამოსულმა დავით იმნაძემაც ვერ შეაჩერა როდუმტა, „აზოტმა" ტაქტიკა შეცვალა და ზონაში ჩამდგარ ავიატორებს სამქულიანები დაუშინა. ლევან ჩუჩუამ ერთი ჩააგდო, ანატოლი ბოისამ ორი წაუმატა და პირველი ტაიმის შემდეგ „აზოტი" 6 ქულასლა აგებდა.



ავიამშენელმა პლასიდე როდომტამ „აზოტს" ჩაუტენა

ახლა უკვე „ავიამშენმა" შეცვალა ტაქტიკა, რაც უკანა ხაზის გაძლიერებაში გამოიხატა. როდუმტას დამხმარე ორმოცაძე ლევან მოსეშვილმა მოედნიდან გაიხმო და თამაშში მესამე უკანახაზელი ჩართო. ამით ავიატორთა კამერუნელ ცენტრს ფარქვეშ ფრთები შეეკვეცა, უკანახაზელთა პაექრობა კი რუსთაველებმა მოიგეს.

ჰოდა, მოსახდენიც მოხდა. რამაზ გოგობერიშვილის სწრაფ გარღვევებს ჟოლვეტ ტუჯანიც გამოეხმაურა ფარქვეშიდან და მესამე მეოთხედის შუაწელში რუსთაველები დაწინაურდნენ — 45:43.

გადამწყვეტი მეოთხედის წინაც თითქმის თანაბრობა იყო, „ავია" ქულას იგებდა და დაცვითი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. ბურთის კალათში ჩაშვება გაიშვიათდა და მეოთხე მეოთხედის საწყის 4 წუთში გუნდებმა მთლიანობაში მხოლოდ 6 ქულა შეიმატეს. 53:53 სირენამდე 5 წუთით ადრე და ამ დროს კოტე ტულუშმა მორიგი სამქულიანი მიითვალა, რითაც სათავე დაუდო ავიატორთა იმ გაქცევას, რომელმაც გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია.

ბოლო წუთებზე „ავიამშენის" მსროლელები იშვიათად ცდებოდნენ, რუსთაველებმა კი დიდ-პატარიანად სამქულიანებით სცადეს თამაშის გადარჩენა, მაგრამ...

**ირაკლი პერტაია**



## საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. ვაჟები

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

მეხუთე წრე. 27 მარტი

**სტუ-შევარდენი 20:24 ქარიშხალა**

სტუ-შევარდენი: რობაქიძე, კუპატაძე, წივწივაძე (გაიტანა 14 გოლი), ნიკოლაიშვილი (3), კობახიძე (1), ნადირაძე (1), ჯიშკარიანი (1) ტალახაძე, ამირან ყიფიანი, ომარ ყიფიანი, ცოტაძე, ჩუბინიშვილი, სვიმონიშვილი
ქარიშხალა: სამყურაშვილი, ტორონჯაძე, მსხვილიძე (9), სიგუა (5), ბერძენიშვილი (5), ლეჟავა (2), ჩიქოვანი (1), ზაალიშვილი (1), ჯორბენაძე (1), გოგალაძე, საჯაია, ჯოხაძე, მელქოშვილი
*მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი*

**ხკ თბილისი 27:22 სსსსუ-მამული**

ხკ თბილისი: სეთურიძე, გონჩაროვი, ქირია (7); სამარლანიშვილი (7), ღლანიძე (3), გრიშიკაშვილი (3), ოსიყმაშვილი (2), არაბული (2), ჟღენტი (2), ქარდავა (1), ნატროშვილი
სსსსუ-მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, შონია (5), მამასახლისი (5), მაისურაძე (4), ჭაფოძე (3), ყაველაშვილი (2), მამაცაშვილი (1), კიზირია (1), ჩაჩანიძე (1), შალიკაშვილი, გველესიანი
*მსაჯები: ნინო ელოშვილი, ზურაბ ქოქოსაძე*

# ქარიშხალას თბილისისგან ქარიშხლიანი დღე ელის

**ეროვნული** ჩემპიონატის ბოლოსწინა, მეხუთე წრე მოულოდნელობით დაიწყო. ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა და მიმდინარე გათამაშებაშიც ლამის უკვე ტიტულგანადებულმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენმა" მარცხი განიცადა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალასთან" შეხვედრაში.

თამაშის დასაწყისი ტექნიკოსების იყო — 3:1, მერე ქარიშხლელებმა გამოილეს ხელი და ანგარიშიც გაათანაბრეს. არმიის სპორტული კლუბის დარბაზში კარგა ხნით შუქიც ჩაქრა, თუმც ბრძოლა არ შეჩერებულა — შესვენებაზე „ქარიშხალა" ერთბურთიანი უპირატესობით (12:11) წავიდა. ცერცვაძელთაგან გამოირჩნენ სამ-სამჯერ გამტანები ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი სიგუა და რატი მსხვილიძე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტაიმი მსხვილიძისა და ტექნიკოსთა ლიდერ გიორგი წივწივაძის დუელი გახდა. პირველივე წუთზე გიორგიმ გაათანაბრა — 12:12, იქვე რატიმ საპასუხო გაიტანა, თუმც მომდევნო შეტევისას „წივწივას" შეჩერება ორმა მცველმაც ვერ შეძლო — 13:13. ამის შემდეგ ანგარიში კიდევ ექვსჯერ გაყაიმდა და დაძაბული ბრძოლა მატჩის ბოლომდე გაგრძელდა.

ისე, თამაში მაინცდამაინც უხვგოლიანი ვერ გამოვიდა. ორივე მხარე ჩქაროსნულად კი ირჯებოდა, თუმც ბრძოლას წუნიც ბევრი ახლდა გადაცემებშიც და შეტევების დასრულებისასაც. შეიძლება ითქვას, რომ დაცვამ აშკარად აჯობა შეტევას. თანაც, სანაქებოდ იცავდნენ თავიანთი კარის მისადგომებს ტექნიკოსი გიორგი რობაქიძე და მისი ოპონენტი გიორგი სამყურაშვილი. რაც მთავარია, ორმხრივი დაცვა მწვავედ კი მოქმედებდა, მაგრამ არა უხეშად.

შეხვედრის ბედი ბოლო ხუთ წუთში გადაწყდა, როცა ცაცია მსხვილიძემ სამჯერ გაუტანა ჩემპიონებს.

ეს გამარჯვება ქარიშხლელი ბიჭებისთვის დიდი „დოპინგია" ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წინ, რომელსაც სამიოდ კვირაში საქართველო უმასპინძლებს, ნაკრების ბირთვს კი სწორედ „ქარიშხალას" წევრები შეადგენენ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ორივე მარცხი ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა" სწორედ „ქარიშხალასგან" იგემა. ოღონდ გუშინდელმა წარმატებამ ბექა ორჯონიკიძის ბიჭებზე თავბრუდამხვევად არ უნდა იმოქმედოს, რადგან დღეს უმთავრესი ბრძოლა აქვთ „ხელბურთის კლუბ თბილისთან" ვიცეჩემპიონობისთვის. თამაში არმიის სპორტულ კლუბის დარბაზში 12 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**



ლევან ბერძენიშვილმა ჩემპიონებს ხუთჯერ გაუტანა

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 11 | 0 | 2 | +85 | 22 |
| ხკ თბილისი | 7 | 0 | 6 | +47 | 14 |
| ქარიშხალა | 7 | 0 | 6 | +18 | 14 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 12 | -150 | 2 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

26 მარტი

**ორლანდო 108:101 ატლანტა**

ორლანდო: ნელსონი (15), სტივენსონი (12), თურქოღლუ (23), ჰოვარდი (15 ქულა, 13 მოხსნა), ბათი (9); დულინგი (13), მილიჩიჩი (13), აროიო (6), აუთლოო (2), არიზა

ატლანტა: აივი (9), ჯონსონი (19), სმიტი (6), ჰარინგტონი (20), ფაჩულია (40 წუთი, 16 ქულა, 12 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 3 პასი, 1 დაფარება); ჩილდრესი (18), უილიამსი (13), ბატისტა

**ინდიანა 92:79 ფილადელფია**

**მილუოკი 125:116 ტორონტო**

ძირითადი დრო 109:109

**მემფისი 102:95 შარლოტი**

**საკრამენტო 83:90 გ. სტეიტი**

**პორტლენდი 83:97 კლიპერსი**

**ლეიკერსი 105:94 ნიუ ორლეანი**

**სიეტლი 106:102 სან ანტონიო**

**დეტროიტი 74:79 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი 97:101 ჩიკაგო**

**ჰიუსტონი 102:104 კლივლენდი**

ძირითადი დრო 91:91

**მინესოტა 98:98 ნიუ იორკი**



ზაზა ფაჩულიამ „ორლანდოსთან“ 16 ქულა და 12 მოხსნა გააკეთა



## რეგულარული ჩემპიონატი

26 მარტი

**პიტსბურგი 5:6 მონრეალი**

*0:2 3:3 2:1*

0:1 ჰიგინსი (5), 0:2 ბონკი (16), 1:2 არმსტრონგი (21), 1:3 ჰიგინსი (24), 2:3 სუროვი (27), 2:4 კოვალიოვი (31), 3:4 არმსტრონგი (53), 3:5 კოვალიოვი (40), 4:5 უელში (42), 4:6 რაიდერი (53), 5:6 ლეკლერი (55)

**კოლორადო 3:4 ედმონტონი**

*2:1 0:1 1:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 რ. სმიტი (5), 1:1 ბრიუნეტი (7), 2:1 ჰეიდუკი (15), 2:2 სტეიოსი (40), 2:3 სტოლი (44), 3:3 დაუდი (53), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: სამსონოვი

**ნიუ ჯერსი 3:4 ტორონტო**

*1:2 0:1 2:1*

0:1 კილგერი (9), 1:1 რასმუსენი (18), 1:2 ველვუდი (19), 1:3 სუნდინი (36), 2:3 გომესი (43), 2:4 სტეიჯენი (52), 3:4 ელიაში (57)

**დალასი 3:2 კალგარი**

*0:1 3:1 0:0*

0:1 ლუნდმარკი (11), 1:1 კაპანენი (22), 2:1 მოდანო (27), 2:2 ლეოპოლდი (27), 3:2 არნოტი (28)

**ჩიკაგო 4:5 სან ხოსე**

*2:2 1:1 1:1 0:1*

0:1 რისმილერი (4), 1:1 ვრბატა (4), 2:1 ჰოლმკვისტი (15), 2:2 ბერნიე (17), 3:2 ვრბატა (27), 3:3 ეკმანი (39), 3:4 სმიტი (48), 4:4 კოლდერი (59), 4:5 პრაისინგი (62)

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 70 | 48 | 16 | 6 | 277:169 | 102 |
| კაროლინა | 70 | 46 | 18 | 6 | 260:216 | 98 |
| რეინჯერსი | 71 | 39 | 20 | 12 | 227:180 | 90 |
| ბუფალო | 70 | 44 | 21 | 5 | 239:206 | 93 |
| ფილადელფია | 71 | 40 | 21 | 10 | 238:227 | 90 |
| ტამპა | 71 | 38 | 28 | 5 | 224:225 | 81 |
| ნიუ ჯერსი | 71 | 35 | 27 | 9 | 200:207 | 79 |
| მონრეალი | 71 | 35 | 27 | 9 | 211:220 | 79 |
| ატლანტა | 71 | 35 | 30 | 6 | 237:240 | 76 |
| ტორონტო | 71 | 33 | 32 | 6 | 215:240 | 72 |
| აილენდერსი | 70 | 33 | 32 | 5 | 207:237 | 71 |
| ფლორიდა | 70 | 31 | 30 | 9 | 202:216 | 71 |
| ბოსტონი | 72 | 28 | 32 | 12 | 205:231 | 68 |
| ვაშინგტონი | 70 | 23 | 38 | 9 | 201:271 | 55 |
| პიტსბურგი | 71 | 18 | 41 | 12 | 205:282 | 48 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 70 | 48 | 15 | 7 | 262:180 | 103 |
| დალასი | 71 | 48 | 20 | 3 | 235:186 | 99 |
| კალგარი | 71 | 39 | 24 | 8 | 187:181 | 86 |
| ნეშვილი | 71 | 42 | 21 | 8 | 226:203 | 92 |
| ანაჰაიმი | 70 | 37 | 21 | 12 | 214:192 | 86 |
| კოლორადო | 71 | 39 | 25 | 7 | 251:218 | 85 |
| ვანკუვერი | 72 | 38 | 28 | 6 | 228:222 | 82 |
| ედმონტონი | 71 | 35 | 24 | 12 | 226:228 | 82 |
| სან ხოსე | 70 | 36 | 24 | 10 | 227:209 | 82 |
| ლოს ანჯელესი | 71 | 38 | 28 | 5 | 232:238 | 81 |
| მინესოტა | 71 | 32 | 32 | 7 | 203:190 | 71 |
| ფინიქსი | 71 | 33 | 34 | 4 | 214:234 | 70 |
| კოლუმბუსი | 71 | 28 | 40 | 3 | 181:249 | 59 |
| ჩიკაგო | 70 | 21 | 38 | 11 | 180:244 | 53 |
| სენტ ლუისი | 69 | 20 | 37 | 12 | 178:251 | 52 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

### მეოთხე ეტაპი. ესპანეთი. 346,0 კმ

**რბოლის შედეგები**

1 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) — 3სთ; 22.01,7
2 დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) — ჩამორჩა 48,2
3 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) — 1.45,8
4 ალექს ბენგუ (საფრანგეთი, პეჟო) — 2.01,9
5 იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) — 2.57,2
6 ფრანსუა დიუვალი (საფრანგეთი, შკოდა) — 3.37,8
7 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) — 3.48,2
8 სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ) — 4.36,4

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 36 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 27; 3 სორდო — მარტი 14; 4 მანფრედ შტოლი — ლიკა მინორი (ავსტრია, პეჟო) 11; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი 10; 6 ტონი გარდმაისტერი — იაკე ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 6; 7 დანიელ კარლსონი — ბიორნ ჰოლმსტრანდი (შვედეთი, მიცუბისი) 6; 8 სარაზინი — პრევო 5; 9 ჰენინ სოლბერგი — იან მენკერუდი (ნორვეგია, პეჟო) 5; 10 ბენგუ — ესკუდერო 5

**კონსტრუქტორთა თასი**

კრონოს ტოტალ სიტროენი 44 ქულა, BP-ფორდი 42, სუბარუ WRT 31, OMV პეჟო ნორვეი 21, სტობარტ VK ფორდ 10, რედ ბულ შკოდა 8



### კიბისკეინი. აშშ. ჰარდი

# ფლორიდაში სენსაცია გამქრალა

კაცები. საპრიზო 3 450 000 $

**მესამე წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — მარკოს ბაღდატისი (25, კვიპროსი) — 2:6 6:2 7:5; **მარიო ანჩიჩი** (22, ხორვატია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) — 7:6 6:7 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) — 6:7 7:6 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — ტომაშ ბერდიხი (26, ჩეხეთი) — 6:7 6:1 6:0; **ივან ლიუბიჩიჩი** (6, ხორვატია) — ფილიპო ვოლანდრი (30, ესპანეთი) — 6:2 6:3; **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) — რობი ჯინეპრი (20, აშშ) — 4:6 7:5 6:3; **ნიკლას კიფერი** (16, გერმანია) — ფერნანდო გონსალესი (18, ჩილე) — 6:2 3:6 7:5; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — კარლოს მოია (ესპანეთი) — 6:3 7:6

ქალები. საპრიზო 3 450 000 $

**მეორე წრე**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — მარიონ ბარტოლი (30, საფრანგეთი) — 6:4 6:0; **ანა ივანოვიჩი** (14, სერბეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) — 6:3 5:7 6:3; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (15, სლოვაკეთი) — 6:3 4:6 6:2; **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) — 4:6 6:0 6:0; **სოფია არვიდსონი** (32, შვედეთი) — მეგან შონესი (აშშ) — 5:7 6:3 7:6; **აი სუგიამა** (21, იაპონია) — ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) — 3:6 7:5 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (12, რუსეთი) — მარტინა ჰინგისი (24, შვეიცარია) — 3:6 6:1 7:6; **პატი შნიდერი** (7, შვეიცარია) — კატარინა სრებოტნიკი (28, სლოვენია) — 7:6 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (უკრაინა) — 6:1 6:4; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) — 6:2 7:6; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 6:0 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (22, საფრანგეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) — 6:2 6:3; **ჟი ჩენი** (ჩინეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (16, გერმანია) — 6:4 7:5; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — კლარა კუკალოვა (27, ჩეხეთი) — 6:1 6:2

კიბისკეინში მორიგმა სათამაშო დღემ უსენსაციოდ ჩაიარა. თუმც მატჩები მეტად შეუპოვარი და დაძაბული გამოდგა და თითქმის ყველა შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება გახდა საჭირო.

ყველაზე დიდ ინტერესს ნიკოლაი დავიდენკოსა და ავსტრალიის ღია პირველობის მთავარი სენსაციის — მარკოს ბაღდატისის შეხვედრა იწვევდა. თუმც მატჩმა იმედები ვერ გაამართლა. ჩოგბურთელები ძალიან პასიურობდნენ და მეტოქის შეცდომას იყვნენ დადარაჯებულნი. თავიდან რუსი უფრო ცდებოდა, მაგრამ შემდეგ ბაღდატისმა ყველა წარმოსადგენ ზღვარს გადააჭარბა და დავიდენკოს თვითონ აუნთო მწვანე შემდეგ ეტაპზე.

ფლორიდაში დიდხანს ვერც რაფაელ ნადალის გამგდებმა კარლოს მოიამ გაძლო. კაცებში ოდესღაც პირველი ჩოგანი მოია სტაბილურად ვერაფრით ათამაშდა — კარგი მატჩების შემდეგ აშკარა ჩავარდნები აქვს-ხოლმე. ამჯერადაც საერთოდ ვერაფერი გააწყო ჰარდის არცთუ დიდ ოსტატ აგუსტინ კალერისთან და ერთობ უშფოთველადაც დათმო თავისი შეხვედრა.

ვერც ჟუსტინ ენენის გამამწარებელმა იხარა დიდხანს. მეგან შონესის ბელგიელთან აშკარად გაუმართლა, მაგრამ ამ ფაქტორმა ვერ უშველა სოფია არვიდსონთან შეხვედრაში — შემდეგ წრეში შვედი გავიდა.

კიბისკენის კორტებს დაუქნია ჩოგანი მარტინა ჰინგისმაც, რომელმაც დღის ყველაზე საინტერესო დაპირისპირებაში სვეტლანა კუზნეცოვას ვერაფერი მოუხერხა. ამ ორსაათნახევრიან ბრძოლაში ჩოგბურთელებმა დიდხანს აწვალეს ერთმანეთი და საბოლოოდ მაინც რუსის ძალისმიერმა და ერთფეროვანმა სტილმა აჯობა.

„ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა ასეთი მატჩების მოგება. რიგ მომენტებში ძალიან ცუდად ვითამაშე, მაგრამ გამარჯვება ძალიან მინდოდა და ამ სურვილმა ყველაფერი გადაწონა“ — განაცხადა თამაშის შემდეგ კუზნეცოვამ.

შემდეგ ეტაპზე გაინავარდეს ფავორიტებმაც. კვლავ ძალიან დამაჯერებელია ამელი მორესმო, რომელიც მატჩიდან მატჩამდე ამტკიცებს, რომ ღირსეულად პირველობს რეიტინგსიას. შემდეგ ეტაპზე ფრანგს თინეიჯერი სერბი ანა ივანოვიჩი ხვდება და იქნებ მან მაინც გაუწიოს წინააღმდეგობა პირველ ჩოგანს.



AFP

ამელი მორესმო პირველჩოგნობას გაეჩვია

ასევე ძალიან კარგად ითამაშა ელენა დემენტიევამაც, რომელმაც ამჯერად მხოლოდ ერთი გეიმი დათმო.

საკმაოდ გაუჭირდა მარია შარაპოვას, რომელსაც მეორე სეტში 6 სეტპოინტის განეიტრალება მოუხდა, რის შემდეგაც რუსმა მხოლოდ ტაიბრეიკზე გაინაღდა გამარჯვება.

„არც ისე ადვილი გამოდგა მის წინააღმდეგ თამაში, ბურთს ძალიან „ღრმად“ ურტყამდა და ამის გამო შეტევაზე გადასვლა თითქმის შეუძლებელი იყო... ჩემი საუკეთესო თამაში არ მიჩვენებია, მაგრამ ახლა უკვე ამის გარეშეც ვახერხებ ფონს გასვლას“ — არცთუ მთლად კმაყოფილი იყო შარაპოვა თავისი თავით.

**ქახა ლომაშვილი**



AFP

მარია შარაპოვამ თავს თამაში დაუწუნა

# მომავალ თოვლამდე

გასრულდა ზამთრის სახეობათა მორიგი სეზონი და მოთხილამურეებიც შემდეგ თოვლამდე შვებულებაში გავიდნენ. ზოგი დასტაქართა სკალპელების ქვეშ დანვება და ტრავმებს უწამლებს. ზოგი კი თბილ ქვეყანაში გაფრინდება და მზეს მიფიცხებული აწ გასრულებული სეზონის ავ-კარგს გაიხსენებს. ყველაფერთან ერთად ეს ოლიმპიური ზამთარი იყო, რაც მნიშვნელოვნად დაეტყო მოთხილამურეთა მომზადებასა თუ შედეგებს. რაც მთავარია, 2005-2006 წლების სეზონმა აშკარად დაგვანახა, რომ მსოფლიოს თასის გათამაშება და ოლიმპიადა ერთმანეთისგან განყენებული შეჯიბრებებია და ორივეგან წარმატების მიღწევა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასე რომ, თანმიმდევრობით მივყვეთ

## მთის თხილამურობა



### საერთო ჩათვლა

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბენჯამინ რაიხი (ავს) | 1410 |
| 2 | აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) | 1006 |
| 3 | ბოდე მილერი (აშშ) | 928 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვ) | 1970 |
| 2 | ანია პიერსონი (შვედ) | 1662 |
| 3 | მიქაელა დორფმაისტერი (ავს) | 1364 |

### თეთრი რელსებით მთიდან ვეშვებით

მთის თხილამურობაში იშვიათი გამონაკლისის მნახველნი ვართ — ერთი და იგივე სპორტსმენებმა როგორც მსოფლიოს თასზე, ისე ოლიმპიადაზეც იჩემპ-იპირველეს.

ეს ზამთარი ულაპარაკოდ ბენჯამინ რაიხისა გამოვიდა, რომელიც აშკარად კარიერის პიკიდან მოსრიალებს. ავსტრიელმა ტურინში ორჯერ მოახერხა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შედგომა, მსოფლიოს თასის მთელი გათამაშებაც ძალიან სტაბილურად ჩაასრიალა და ბროლის დიდი თასიც დამსახურებულად შემართა. განსაკუთრებით სტაბილურად გიგანტურ სლალომსა და კომბინაციაში გახლდათ.

„მართლაც ფანტასტიკური სეზონი მქონდა. ალბათ გარკვეული დრო დამჭირდება, ეს წარმატება რომ ბოლომდე გავაცნობიერო" — ასეთი იყო წლევანდელი ტრიუმფატორის დასკვნითი კომენტარი.

ერთგვარი მოულოდნელობა იყო საერთო ჩათვალში მეორე ადგილის დამჭერი აქსელ ლუნდ სვინდალის წლევანდელი გამოსვლა. ახალგაზრდა ვიკინგისგან მსოფლიოს თასზე ასეთ წარმატებას ნაკლებად მოელოდნენ, თუმც კი ოლიმპიადაზე მან ბევრი ვერაფრით დაგვამახოსვრა თავი. ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა შარშანდელ ტრიუმფატორ ბოდე მილერს. ენაჭარტალა ამერიკელი თხილამურობის ფედერაციასთან დავაში და ბარებში გართობაში უფრო მეტ დროს ფლანგავდა, ვიდრე ვარჯიშზე და ტურინშიც შესაბამისი შედეგი მოიმკო. ამ ფონზე მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მესამე ადგილიც კი დიდ მიღწევად ჩაეთვლება.

ახლა ქალებზეც: რაიხზე არანაკლებ კარგი სეზონი ჰქონდა იანიცა კოსტელიჩსაც. 24 წლის ხორვატმა დევქალმა უკვე მესამედ შეძლო ბროლის დიდი თასის მოგება. მართალია, მან ტურინში მთლად ისე ვერ ისრიალა, როგორც სოლტ ლეიკ სიტიში, საიდანაც სამი ოქრო წამოიღო, მაგრამ იტალიიდან თითო ოქრო-ვერცხლი მაინც წააყოლა ხელს.

ბროლის დიდი თასი კი კოსტელიჩმა რეკორდული მაჩვენებლით დაისაკუთრა — 1970 ქულა დააგროვა და 10 ქულით გააუმჯობესა შვედი პერნილა ვიბერგის 1997 წელს მოჯარული რეკორდი. ხორვატი დღესდღეობით გაუსაჩივრებლად ყველაზე უნივერსალური მოთხილამურეა, რაც იმითაც დაადასტურა, რომ მინიმუმ ერთი ეტაპი მაინც მოიგო ყველა დისციპლინაში. ამიტომაც, ეს კრიალა ბროლის თასი ალალ მისი.

„ყველა მიზანს მივაღწიე — ხუთივე დისციპლინაში თითოჯერ მაინც ვიმარჯვე და ოლიმპიადაზეც არ შემირცხვენია თავი. თან ჩემს ქულებს შეხედეთ — წლეულს მართლაც ფანტასტიკური, კარიერის საუკეთესო სეზონი მქონდა" — თავისი მიღწევით აღფრთოვანებულია კოსტელიჩი.

ასევე აუცილებლად გამოსარჩევია ვეტერანი მიქაელა დორფმაისტერის გამოსვლაც, რომელსაც ამიერიდან ტრასაზე ველარ ვიხილავთ — ავსტრიელმა კარიერა ფაქტობრივად პიკზე დაასრულა, ვინაიდან აისრულა თავისი დიდი ხნის ოცნება და ოლიმპიური ოქრო მოიგო, თანაც წყვილად.



იანიცა კოსტელიჩი და ბენჯამინ რაიხი

AFP

## ბიატლონი



### საერთო ჩათვლა

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორ) | 812 |
| 2 | რაფაელ პუარე (საფრ) | 693 |
| 3 | სვენ ფიშერი (გერ) | 674 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კატი ვილჰელმი (გერ) | 969 |
| 2 | ანა-კარინ ოლოფსონი (შვედ) | 818 |
| 3 | მარტინა გლაგოუ (გერ) | 694 |

### თოფები ჩქარა!

ოლე-ეინარ ბიორნდალენმა ბოლო ეტაპებზე გამოაჩინა ტურინში დაგროვილი მთელი ბრაზი და უკანასკნელ თვე-ნახევარში თითქმის ყველა შეჯიბრი მოიგო, რამაც ბროლის დიდი თასი არგუნა კიდეც ამ უკვე ლეგენდად ქცეულ კაცს. თუმც დიდი ვიკინგისთვის ეს მხოლოდ მცირედი შვება თუ იქნება — ოლე-ეინარს დიდხანს არ დაავიწყდება მისი სამარცხვინო (თვითონ ნორვეგიელის სიტყვებია) გამოსვლა ოლიმპიადაზე, სადაც ის ხუთი ოქროს მოგებას გეგმავდა და ერთიც არ შერჩა.

წლის მთავარი უიღბლო კი აშკარად რაფაელ პუარეა, რომელმაც ოლიმპიური კატასტროფის ანაზღაურება ვერც მსოფლიოს თასზე შეძლო. ფრანგი ჯერაც ყოყმანობს — ვერ გადაუწყვეტია, დაასრულოს თუ არა კარიერა.

საკმაოდ უფერული სეზონი ჰქონდათ გერმანელებსაც, თუმც მათ მსოფლიოს თასის გლობუსები ოლიმპიადისთვის მზადებას შესწირეს, სადაც მართლაც რომ ფანტასტიკურად გამოვიდნენ და ეს ჩავარდნა ამიტომაც ეპატიებათ.

აი, ქალებში კი კატი ვილჰელმს ნამდვილად არ გამოუჩნდა ტოლი და სწორი, კარიერაში მეორე ბროლის დიდი თასიც გვარიანი უპირატესობით მოიგო.

მთავარ აღმოჩენად კი სამიოდე წლის წინ ბარის თხილამურობიდან გადმოსული შვედი ანა-კარინ ოლოფსონი იქცა. აშკარაა, რომ მას ასე თუ ისე სტაბილური სროლა უსწავლია და თავისი სისწრაფის წყალობით წლეულს არა ერთი ეტაპის მოგებაც შეძლო.

ბიატლონს წლეულს ორი ქარიზმატული სპორტსმენი გამოეთხოვა — ნორვეგიელმა ლივ გრეტ-პუარემ და გერმანელმა უში დიზლმა კარიერის ერთ-ერთი უცუდესი სეზონი ჩაატარეს და ალბათ ამანაც დიდი გავლენა იქონია მათ გადაწყვეტილებაზე.

## ბარის თხილამურობა



### საერთო ჩათვლა

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტობიას ანგერერი (გერ) | 829 |
| 2 | იენს არნე სვერტდალი (ნორ) | 577 |
| 3 | ტორ არნე ჰეტლანდი (ნორ) | 570 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარეტ ბიორგენი (ნორ) | 1036 |
| 2 | ბეკი სკოტი (კან) | 1020 |
| 3 | იულია ჩეპალოვა (რუს) | 780 |

### ბარი-ბარში

ტობიას ანგერერიც და მარეტ ბიორგენიც აბსოლუტურად დამსახურებულად გახდნენ ბროლის დიდი თასების მფლობელნი. ორივემ ძალიან სტაბილურად ისრიალა თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში. განსაკუთრებით ეს გერმანელს ეხება, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო საერთო ჩათვლა. ბიორგენს კი კანადელი ბეკი სკოტი ბოლომდე მისდევდა და ძალიან ცოტა დააკლდა პირველ ადგილამდე. ნორვეგიელმა ზედიზედ მესამედ მოახერხა საერთო ჩათვლის მოგება, მაგრამ...

ანგერერიც და ბიორგენიც ალბათ დიდი სიამოვნებით გაცვლიდნენ ამ ტიტულს ერთ ოლიმპიურ ოქროზე მაინც — ორივემ ხომ ტურინში ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა და უმთავრეს იმედგაცრუებადაც იქცნენ. თუმც ამ გამარჯვები ალბათ ცოტათი მაინც მოიოხეს გული.

**კახა ლომაშვილი**



ოლე-ეინარ ბიორნდალენი

AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge